

ISSN 1512-1593

**გელათის მეცნიერებათა
აკადემიის ჟურნალი**



**JOURNAL
OF GELATI ACADEMY
OF SCIENCES**

4

2024

ჟურნალი გამოდის უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II-ის

კურთხევითა და ფინანსური ხელშეწყობით

გამოდის 2002 წლის
სექტემბრიდან

ჟურნალის დამაარსებელი **მაგალი თოდუა**

მთავარი რედაქტორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ეკა დადიანი

რედაქტორი
ბელა სურგულაძე

სწავლული მდივანი
თაბარ ლაკვიშვილი

ქუთაისი - 2024

ყდაზე - ოშკის იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარი (ტაო, X ს.)
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%99%E1%83%98#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Oshki_4.jpg

ციალა ბენდელიანი

ტოპონიმ ხანძმ-ის ეტიმოლოგია

ტოპონიმ **ხანძმას** ვხვდებით გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. ძველი ქართული სხვა ტექსტებიდან ან წერილობითი წყაროებიდან იგი ცნობილი არ არის. ტოპონიმის ფონეტიკური ვარიანტი **ხანცთა** ტექსტისეულია. დიდი ხანია ტექსტის გამომცემლები და კომენტატორები სხვადასხვა ხასიათის ნაშრომებში აღნიშნავენ, რომ **ხანცთა** დიალექტიზმია, იგულისხმება, რომ მომხდარია **ძ : ც** პროცესი, ხოლო სალიტერატუროა **ხანძთა**. ძეგლის ახალ ქართულზე შესრულებულ ვარიანტში, რომელსაც აქვს ავტორის ედიშერ ჭელიძის ძალზე საინტერესო სქოლიოები, გვხვდება **ხანცთა** (ჭელიძე 2014:). როგორც ჩანს, ტექსტის გამომცემელმა ანგარიში გაუწია ძეგლის ჩვენებას.

ხანძთა თანამედროვე ქართულში დიდი ხანია დამკვიდრდა, წმინდა გრიგოლიც **ხანძთელად** იწოდება, მაგრამ ძველი საეკლესიო მოსახსენებლებიდან მომდინარეობს ზედწოდება **ხანცთელი**. იმ მხარისა და სხვა ქართული, აღმოსავლური და დასავლური დიალექტების მონაცემებიდან კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტოპონიმის სახელი მომდინარეობს **ხანძმ-** (**ღანძმ-**) ფუძიდან.

ტოპონიმში თუ გამოვყოფთ **ხანძმ-** ფუძეს, **-თა** სუფიქსი გავრცელებულია: **გომარ-თა**, **იკორ-თა**, **დვალ-თა**, **ქურ-თა**, **ხორან-თა** (ვ. თოფურია). **-თ** სიმრავლეს აღნიშნავს, ხოლო

-ა ტოპოფორმანტია. იმავე ძეგლში ნახსენებ ისტორიულ ადგილთა და ეკლესიათა სახელწოდებებიც: **ბერ-თ-ა, ქორ-თ-ა, პარეხ-თ-ა, ბარ-ეთ-ელ-თ-ა** ასევეა ნაწრმოები. ბარ-ეთ-ელ-თ-ა ძალზე ძველი ჩანს, რადგან უნდა ყოფილიყო ბარ-ეთ-ი, შემდგომ არის დართული სხვა სუფიქსები. **-ეთ** ტოპომაწარმოებელია, შემდგომში დართული **-ელ** მიუთითებს წარმომავლობას, ხოლო **-თ** სუფიქსი ამ ადგილიდან წარმომავალთა სიმრავლეს აღნიშნავს. შესაძლოა, ეს სუფიქსები სხვადასხვა დიალექტური ჯგუფის მიერაა გამოყენებული. ამ მხარეში მოსახლეობის მონაცვლეობა ადვილად დასაშვებია ან დროთა განმავლობაში იცვალა.

ხანძმ-თ-ა, ბერ-თ-ა, ქორ-თ-ა, პარეხ-თ-ა წარმოების მიხედვით მსგავსია. **ბერ-თ-ა**-ში უთუოდ გამოიყოფა **ბერ-** ფუძე და დაკავშირებული უნდა იყოს ამ მხარეში სამონასტრო მშენებლობასა და ცხოვრებასთან, **ქორ-თ-ა** მომდინარეობს ფრინველის სახელიდან, ქორი გვხვდება ბიბლიის უძველეს თარგმანებში. პარეხი არის „ნაპრალი კლდეთა შორის, კიბის საფეხური“ (აბულაძე 1973). ამ სახელწოდებებზე დაკვირვებაც გვიჩვენებს, რომ **ხანძმ-თ-ა**-ც უთუოდ უნდა მომდინარეობდეს უშუალოდ ამ მხარის ბუნებრივი პირობებიდან და რეალიებიდან.

ხანძმა უფრო ადრეული ტოპონიმი ჩანს, ვიდრე ამ მხარეში სამონასტრო მშენებლობა დაიწყებოდა. ყოველ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ ამ ადგილას **ბერ** უედიოსის მისვლამდე დიდი ხნით ადრეც ხანძმა ერქვა.

ხანძმაში სახნავ-სათესი ადგილები ეკუთვნოდა ადგილობრივ დიდაზნაურს გაბრიელ დაფანჩულს. **დაფანჩული** ახსნილია, როგორც „დაფანტული“ (ი.ლოლაშვილი). თუ რატომ იხსენიებოდა დაფანჩულად, არსებობს სხვა მოსაზრებებიც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ მხარეში მისი სახელეულის ნაწილი სხვა ადგილიდან მოვიდა, შესაძლოა, შიშიანობის დროს ან როცა უკვე საშიშროება აღარ არსებობდა, სახნავ-სათესი მიწების გამოსაყენებლად. ჩვენს ამ ვარაუდს ადასტურებს შემდეგი მოსაზრება: ძველ ქართულში **ფანტ-/ფანჩ-** ფუძეებისგან წარმოქმნილ ფორმებს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდათ, მათგან **ფანჩავს** ზმნური ფორმა „გაბნევის“ შინაარსითაც დასტურდება, ამასთანავე, შესაძლოა, **დაფანჩული**

სოციალური ტერმინიც ყოფილიყო, **ფანჩ**- ფუძიანი ზმნა გადატანით აღნიშნავს „დაუკავებელს“, „თავისუფალს“, იგი შესაძლოა შესატყვისი იყოს ქართული ტამრეულისა“ (ჭოხონელიძე 1984: 300). ამ უკანასკნელი ცნობის მიხედვით ჩანს, რომ ადგილის სახელი სამონასტრო მშენებლობაზე გაცილებით ადრინდელია, ალბათ, ამ მხარეში წინარე ქართულენოვანი მოსახლეობის დროინდელი, რომლებმაც მურვან ერუს შემოსევების გამო დატოვეს ეს ადგილები ან ჟამისგან დაიხოცნენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ **ხანძ**- ფუძის ფონეტიკური ვარიანტია **ღანძ**-, რომელიც დასტურდება საქართველოს აღმოსავლურსა და დასავლურ კილოებში, **ღ : ხ** სპირანტთა შენაცვლებასაც დაბრკოლება არ ხვდება არც დიალექტებში და არც ძველ ქართულ სამწიგნობრო ენაში, თანამედროვე დიალექტებში მცენარის სახელად გვხვდება **ხანძილიც** და **ღანძილიც**.

გიორგი მერჩულის აღწერით, გრიგოლ ხანძთელის იქ მისვლისას ხანძთა დაუსახლებელი იყო, კლდოვანი და ტყით მცირედ შემოსილი, წყაროებით კი მდიდარი. ბერ უედიოსს სწორედ თავისი უკაცრიელობის გამო აურჩევია ეს ადგილი სამოღვაწეოდ. თუ ამოსავალ ფუძედ მივიჩნევთ **ღანძ**- ფუძეს, მისი სემანტიკა დაკავშირებულია მცენარე **ღანძ-ილ**-თან. **-ილ** სუფიქსი გავრცელებულია სწორედ ბალახეულობის სახელებში, მაგალითად: ზოგადი სახელი მწვან-**ილ**-ი, ხორბლის ნათესისა – ჯეჯ-**ილ**-ი და მრავალი სხვა დაკავშირებულია კრებითობასთან.

ღანძილი შეტანილია ქეგლ-ში: იგი არის ტყის ბალახი, აქვს ძირში გამსხვილებული ღერო და ფართო ფოთლები: ღეროს წვერზე იკეთებს თეთრ ყვავილებს; ასდის ნივრის სუნი; ნორჩობაში მოხარშული და შეკმაზული იჭმება. ქართულში არის ფერის აღმნიშვნელი სიტყვაც: ღანძლისფერი – „რაც ფერით ღანძილს მოგვაგონებს, მუქი მწვანე“, სიტყვა არის ლექსუმურში, თუმცა ახლა იშვიათი გამოყენებისაა. ის, რომ **ღანძ(ი)ლი** ფერის აღმნიშვნელში გვხვდება, მიუთითებს, რომ მისგან შეიძლება საღებავიც მზადდებოდა.

სიტყვა **ღანძილი** / **ღანძელი** / **ხანძილი** შემონახულია აღმოსავლეთ მთის დიალექტებში: ხევსურულში, ფშაურსა

და მოხეურში. მოხეურში ნიშნავს „ნორჩ, ახლად გამოსულ ყლორტს“ (ო.ქაჯ.) (ვიმოწმებთ: ღლონტი 1984:). ხევსურულსა და ფშაურში აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც მითითებულია ქეგლ-ში ანუ არის მცენარის სახელი, რომლისგანაც მხალი მზადდება. ეს კი ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ხანძმ-ის ეტიმოლოგიის დადგენის თვალსაზრისით. ხანძილი ფორმა გვხვდება ბოტანიკურ ლექსიკონში იმავე მნიშვნელობით (მაყაშვილი 1961). ეს მხარე ძალზე მწირი იყო, ასეთი მცენარე ფასდაუდებელი იქნებოდა, რადგან მისგან მხალი მზადდებოდა. ბერ-მონაზონთა მწირი ტრაპეზისთვისაც მხალი ხშირი საზრდელი იქნებოდა.

ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომელიც შეიქმნა არცთუ ახლოს ზღვის სანაპიროდან, გრიგოლ ხანძთელი დიდმარხვის დროს მხოლოდ უმ კალნაბს მიირთმევდა. **კალნაბი** ახსნილია, როგორც „ზღვის კომბოსტო“ (ჭელიძე 2014:). სულხან-საბა უთითებს კომბოსტოს და ორივეს ბალახს უწოდებს (ორბელიანი 1966). **კალნაბი** იყო ადრეულ ლეჩხუმურში, ნიშნავს ლახანას. ასე რომ, საერთოდ მხალეული ძვირფასი საკვები უნდა ყოფილიყო ამ საზრდოთი ღარიბ მხარეში. რახან ლეჩხუმურშია, კალნაბიც გავრცელებული ჩანს დასავლეთ საქართველოში.

ს.-ს. ორბელიანი **ღანძილის** შესახებ უთითებს, რომ იგი სომხურია და ქართულად **ჯიშკილა** ჰქვია, ერთ რედაქციაში იმასაც ურთავს, რომ „ღანძილიც ჰქვია“ (ორბელიანი 1966:). ამის შესახებ ი. ჩანტლაძე წერს: „როგორც ჩანს, დიდი ლექსიკოგრაფი გურულ-იმერულ ლექსემას გულისხმობდა, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში (კ. მაყაშვილი, ა.ჭკადუა, მ. ჩუხუა) სწორადაა მითითებული, რომ **ჯიშკილა / ჯიშქილა** მეგრულია და ქართულში ის ზანიზმია“ (ჩანტლაძე 2014: 73). **ჯიშკილა** შეტანილია ალ. ღლონტის ლექსიკონში: ჯიშკილა (გურ., იმერ.) ღანძილი, მცენარეა (პ.ჯაჯ., ა.მაყ.) (ღლონტი 1984:). გურულსა და იმერულში ამ მცენარის მეგრული სახელია გავრცელებული, თუმცა ლეჩხუმურში **ღანძილი** მცენარის სახელიც უნდა ყოფილიყო, მისგან უნდა მომდინარეობდეს ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, მიუხედავად იმისა, მისი ფოთლებისგან საღებავს ამზადებდნენ თუ არა.

ხანძილ-ის / **ღანძილ**-ის სომხურობას ეწინააღმდეგება მისი არსებობა აღმოსავლეთ მთის დიალექტებში, განსაკუთრებით ფშაურსა და ხევსურულში, სადაც მას ფონეტიკური ვარიანტებიც აქვს. XV საუკუნეში იხსენიება სომეხი საეკლესიო პირი გრიგოლ ხანძთელი, მაგრამ სასულიერო პირს შეიძლება ეს ზედწოდება ხანძთიდან წარმომავლობის გამო ჰქონოდა.

ქართულში არის სხვა ლექსემებიც, რომლებიც სემანტიკით უახლოვდებიან **ხანძ**- / **ღანძ**- ფუძის მნიშვნელობას. ს.-ს. ორბელიანის დროინდელ ქართულში არის **ღაზლი** „თხის მატყლის ძაფი“ (ორბელიანი 1966). სიტყვას უთითებს ნ. ჩუბინაშვილიც (ჩუბინაშვილი 1961). **ღაზლი** არის ქიზიყურში, გურულში, იმერულში (გაჩეჩილაძე 1976); ზემოიმერულში (ქ. ძოწენიძე). შეტანილია ქეგლ-შიც. გურულში ნიშნავს „შალის თავსაბურავს“ (ს. ჟღენტვი), იმავე გურულში **ღაზლა** / **ყაზლა** ჰქვია „მატყლის დართულ ძაფს“ (ვიმოწმებთ: ღლონტი 1984).

ღარძლა ქართულსა და მთიულურში არის „ტიკის პირმოსაკრავი თოკი, დაგრეხილი თხის ბეწვისაგან, ღაზლა“ (შ.ძიძ., ნ.კეცხ., პ.ხუბ.) (ვიმოწმებთ: ღლონტი 1984:). ლეჩხუმურში **ღანძილი** „შალის თავშალის“ მნიშვნელობითაა, მაგრამ ძნელია დაშვება იმისა, რომ ფერად თეთრი თხის ძაფისგან ნაქსოვის ფერზე არ არის საუბარი, არამედ მწვანეზე, ღანძ(ი)ლისფერზე. ეს სიტყვა დღესაც ცოცხალია, შეტანილი არ არის დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში. ქეგლ-ის მიხედვით, **ღაზლა** არის ფარდაგივით მსხვილად, უხეშად ნაქსოვი დიდი ტომარა.

ეს ვრცელი ლექსიკური მასალა მოწმობს, რომ ამ ორ სიტყვას ბერითი აგებულებით მსგავსება აქვთ, თუმცა სემანტიკით მხოლოდ ვარაუდი შეიძლება, რომ **ღანძილი** / **ხანძილი** ნორჩობიდან გამოსვლის შემდეგ უხეშდება და მისგან თოკი იწვნებოდა, ანდა სხვა მასალისგან ნაქსოვები ღანძილის ნახარშში იღებებოდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სიტყვები: **ღანძილი** / **ხანძილი**, **ღაზლი** / **ღაზლა** / **ყაზლა** / **ღანძლი** სემანტიკურად ახლო მდგომი სიტყვებია და გავრცელებულია ქართულ დიალექტებში. ეს კი განამტკიცებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ტოპონიმ **ხანძ-თ-**

ში გამოიყოფა **ხანძ-** (**ღანძ-**) სახელური ფუძე, **ხანძ-ილ-**ი / **ღანძ-ილ-**ი კი არის ბალახოვანი მცენარის სახელი, რომელიც ხანძმის მიდამოებში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ადგილს ეს სახელი უნდა დარქმეოდა ამ მხარეში ამ მცენარის გავრცელების გამო, რომელიც საჭმელადაც იყო გამოსადეგი.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973: ი. აბულაძე, ძველი ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1973.

გაჩეჩილაძე 1976: პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1976.

მაყაშვილი 1961: ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1961.

ორბელიანი 1966: ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV 2, თბილისი, 1966.

ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1987.

ღლონტი 1984: ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

ჩანტლაძე 2014: ი. ჩანტლაძე, სისვ-/წიწვ-/სისნ ფუძეთა ურთიერთმიმართებისათვის მცენარეთა ნომინაციებში (ქართველურ ენათა მასალის მიხედვით), არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXV, თბილისი, 2014.

ჩუბინაშვილი 1961: ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბილისი, 1961.

ჭელიძე 2014: გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა, გამოცემა მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2014.

ჭოხონელიძე 1984: ნ. ჭოხონელიძე, ფანტ-, პანტ-, ფანჩ- ფუძეების ისტორიისათვის ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბილისი, 1984.

Tsiala Bendeliani

ETYMOLOGY OF THE TOPONYM KHANDZTA

Summary

We come across the toponym **Khandzta** in Giorgi Merchule's «Life of Grigol Khandzteli». It is not known from other texts or written sources. The phonetic variant of the toponym **Khantsta** is textual. **Khandz-t-a** is formed in the same way as other names in the same area: **Ber-t-a**, **Bar-et-el-t-a**, **Kor-t-a**, **Parekh-t-a**, the origin of the toponym must be **Khandz-** nominal root, which is distinguished in **Khandz-il-i/Ghandz-il-i**, that is, the name of a common plant in this area, from the raw leaves of which mkhali (a kind of vegetable dish) is made. This name is found in Pshauri and Khevsuruli with exactly the same meaning, in some western dialects, the name of such a plant is zanizm **Jishkila**, although there is also **Ghandzili**, and the word **Ghan(i)dzlisferi** is found, which denotes a colour.

თენგიზ გუმბერიძე

აკაკი წერეთელი ანტონ კათალიკოსის შესახებ

ახალი ქართული სალიტერატურო ენის საკითხი დღემდე მრავალგზის განხილულა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მამათა და შვილთა დაპირისპირების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სწორედ ეს საკითხი იქცა. როგორც ცნობილია, მაშინ ახალმა თაობამ, რომლის სათავეშიც ილია ჭავჭავაძე იდგა, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ილიას გვერდით იბრძოდა აკაკი წერეთელი და „თერგდალეულთა“ მთელი პლეადა. აკაკი თავიდანვე იზიარებდა ილია ჭავჭავაძის პოზიციას, რომ სალიტერატურო ენა ერთიან ხალხურ მეტყველებას უნდა დაფუძნებოდა და უარყოფით ანტონ კათალიკოსისეული სამი სტილის თეორია.

ანტონპირველი კათალიკოსი მრავალმხრივსაინტერესო მოღვაწე გახლდათ. მას ჩვენმა ისტორიამ კუთვნილი ადგილი მიუჩინა თავის წიაღში და არცთუ ურიგოდ დააფასა მისი ღვაწლი, თუმცა წინაპრის არასწორმა განზომილებებმა შთამომავლობას ყოველთვის გაუჩინა თავსატეხი. ასე მოხდა ანტონის შემთხვევაშიც. მისეული თეორიის უარყოფითი შედეგების დაძლევას დიდი ძალისხმევა და ბრძოლა დასჭირდა. როგორც ვთქვით, ეს ბრძოლა ახალი თაობის ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა და იწყოდამკვიდრება ახალმა სალიტერატურო ენამ.

აკაკი წერეთელი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტი, წერდა: „გადავწყვიტე, რომ თავი დავუდვა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვწერო“ (წერეთელი 1988: 716). როგორც ცნობილია, დარბაისლური წერა ითვისისწინებდა ანტონისეულ მაღალ სტილს. სამი სტილის თეორიის დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა თავად ანტონის ავტორიტეტმა, მის განსწავლულობაზე (იგი ქართული ენის გრამატიკის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი იყო) განუზომელმა წარმოდგენამ. მის მოსაზრებებს თითქმის ყოველგვარი კრიტიკული განწყობის გარეშე მიენდო და წერის წესად გაიხადა ქართველმა ინტელიგენციამ, განსაკუთრებით კი ოფიციალურმა წრეებმა მიაპყრეს ყურადღება და მთელი ძალდონით ებლაუჭებოდნენ მაღალ სტილს, რომლის გვერდით კიდევ არსებობდა საშუალო (საელესიოთათვის) და დაბალი (მდაბიოთათვის) სტილი. სწორედ ასეთ რეაქციულ გამოვლინებას გამოუცხადა ბრძოლა დემოკრატიული იდეებით შეიარაღებულმა ახალგაზრდობამ, რომლის უმრავლესობას გააჩნდა რუსული და ევროპული საუნივერსიტეტო განათლება. სწორედ ისინი იწოდებოდნენ „თერგდალეულებად“.

დღევანდელი გადასახედიდან კიდევ უფრო წარმოუდგენლად მოჩანს ის ნაბიჯი, რომელიც მაშინ ამ ახალმა თაობამ გადადგა. ეს იყო ნებისყოფისა და ინტელექტის ერთდროული მობილიზების შედეგი. აკაკისათვის თავიდანვე მიუღებელი აღმოჩნდა ანტონ კათალიკოსის სამი სტილის თეორია. ასევე, აკაკის მოუთმენლად მიაჩნია მძაფრ სიძულვილამდე მისული ანტონისეული რეაქციული გამოვლინებანი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისადმი“. ზემოთ მოტანილი ფრაზიდან ჩანს, რომ აკაკი წერეთელი სრულიად ახალგაზრდა პოეტი გახლდათ, რომელიც იმ თანამედროვე მოცემულობების შესაბამისად აზროვნებდა, რაც ქართველი საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო იყო. როგორც იგი თავად წერს, მისი ლექსებიდან პირველი ყოფილა „საიდუმლო ბარათი“, რომელიც პოეტის სახელითა და გვარით დაიბეჭდა „ცისკარში“. „მანამდე

– კი უსახელოდ ვბეჭდავდი, ვერც ამ ლექსზე ვბედავდი ჩემი ვინაობის გამოცხადებას, მაგრამ ჩემდა შეუტყობლად მოხდა. დაებეჭდა „ცისკრის“ რედაქტორს და თავისთავად მოეწერა ჩემი სახელი და გვარი. ჩემთვის წერილი გამოუგზავნია შემდეგი შინაარსის: „პლატონ იოსელიანს, რომელიც ქართულს ასწავლის ნამესტნიკ ბარიატინსკის, გადაუთარგმნია მისთვის ეს შენი ხელნაწერი ლექსი და შენი ვინაობაც მოუხსენებია და ებრძანებია (ბარიატინსკის – თ. გ.): რომ დაბეჭდოთ, ავტორის სახელი და გვარი მოაწერეთ, და მეც მეტი რაღა გზა მქონდა? – შენი სახელით დავბეჭდე და არ გამიჯავრდეთ“ ((წერეთელი 1988: 716). აკაკი განმარტავს, რომ ეს ყოველივე მართალი იყო თუ არა, არ ვიციო, „იქნებ რედაქტორმა, როგორც ყმაწვილის გულგასაკეთებლად ისე მოაწერა ხელი, მაგრამ მე კი დავიჯერე და დიდადაც მეფონა, რომ ყურადღებასაც მაქცევენ-მეთქი“ (იქვე).

აქ მოტანილი „ცისკრის“ რედაქტორის წერილი ერთობ მნიშვნელოვანია ყმაწვილი პოეტის გასამხნეველად, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი ორი წერილი, რომლებიც „საიდუმლო ბარათის“ დაბეჭდვის გამო მიუღია ახალგაზრდა ავტორს. ამ წერილთაგან ერთი ეკუთვნოდა აკაკისათვის უცნობ ანჩისხატის დეკანოზს ეფრემს. იგი „სხვათა შორის“ სწერდა აკაკის: „გილოცავ მოშაირობას და თანვე გთხოვ, მამაშვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეჭირვება და შენ კი რაღაც სოფლურ ენითა სწერ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ყველას გულში ხვდება. გამოსვლისთანავე სასიმღერო ლექსად გადაიქცა. განსაკუთრებით ქალები მღერიან და ვაი თუ მაგ შენ ენას მიეჩვიონ და გადიგდონ ძველი დარბაისლური ქართულიო“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, „ძველ დარბაისლურ ენას“ განსაკუთრებული მოწონება ჰქონია მე-19 საუკუნის ქართულ საზოგადოებაში. ამით კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოსადგენია ის უდიდესი სირთულე ბრძოლისა, რომელშიც ჩაებნენ დიდი ილია და აკაკი. წარმოუდგენელია რწმენის ისეთი სიმტკიცე და შეურყეველი ნებისყოფა, როგორიც მათ გამოიჩინეს ამ ბრძოლის გზაზე. ამ ახალ

ძალას უპირისპირდებოდა ძველი თაობის თითქმის ყველა წარმომადგენელი, რომლებსაც განსაკუთრებული ავტორიტეტი გააჩნდათ ხალხში, სარგებლობდნენ საზოგადოების პატივისცემითა და მოკრძალებით. მათ შორის იყვნენ ჟურნალ „ცისკრის“ ირგვლივ შემოკრებილ მწერალთა ჯგუფი: ბარბარე ჯორჯაძე, რევაზ ერისთავი, სარდიონ მესხიშვილი, ექვთიმე წერეთელი... როგორც ჩანს, ანტონისეული ენობრივი სტილი მისაღები ყოფილა ყველა პროფესიისა და სოციალური წრის წარმომადგენელთათვის. ამის მიმანიშნებელია ზემოთ მოტანილი საეკლესიო პირის წერილიც. მაშინ რაღა გასაკვირია თავად ირაკლი ლორთქიფანიძის წერილი, რომელშიც ზემოთ ხსენებული „საიდუმლო ბარათისთვის“ იგი ძალზე აქებს აკაკის და თან, როგორც დეკანოზი ეფრემი, ისიც ასევე სთხოვს, ძველი ენით წერეთ. აკაკი ინდივიდუალურ ავტორებს არ გამოჰასუხებია, არ შესდგომია კრიტიკული აზრების გამოთქმას მათი გამოხმაურებების წინააღმდეგ. მხოლოდ იმას ამბობს, რომ მე ამ წერილებმა გამაყოყოჩეს, 19 წლის ახალგაზრდას სულსა და გულს მიტკბობდა უფრო ის, რომ „ქალები იმღერიანო“. და მასაც გადაუწყვეტია, რომ თავი დაუდვას მწერლობას, როგორც ზემოთ ვთქვით, მხოლოდ სახალხო ენით და არა დარბაისლური ქართულით (ამავე ამბავს აკაკი წერეთელი ოდნავი ცვლილებით „ჩემს თავგადასავალშიც“ მოგვითხრობს). აშკარაა, აკაკი წერეთლისთვის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მისაღები მხოლოდ ხალხური ენა ყოფილა. მას უთითებენ, აკრიტიკებენ ხალხური (არადარბაისლური) სტილისთვის, მაგრამ მისთვის დასაწყისიდანვე მიუღებელი აღმოჩნდა ანტონ კათალიკოსისეული ქართული სალიტერატურო ენის სტილებად დაყოფა. ასე მიაჩნდა დიდ პოეტს მანამდეც, ვიდრე ილია ჭავჭავაძის ცნობილი „ორიოდე სიტყვა...“ გამოქვეყნდებოდა, რასაც მოჰყვა თაობათა შორის ხანგრძლივი დაპირისპირება.

ახალი ქართული ენის დამკვიდრებისათვის ილია ჭავჭავაძის მიერ წამოწყებულ ბრძოლაში იმთავითვე ჩაერთო აკაკი წერეთელი. იგი აქტიურად დაუპირისპირდა მამების

თაობას, ხოლო სამი სტილის თეორიის ავტორს ყოველთვის შესაფერისად „ამკობდა“, როცა მას მოიხსენებდა ხოლმე. აკაკი, როგორც ვიცით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველ ქართულ მწერლობას და საქართველოს კულტურულ-ისტორიული წარსულის საკითხებს. მან არაერთი მოვლენა გადაამუშავა და აიყვანა მხატვრული განზოგადების სიმაღლეზე. ამ გზაზე აკაკი შეხვებია ხოლმე ანტონ კათალიკოსის რეაქციულ მემკვიდრეობას. თავის ერთ-ერთ მოხსენებაში, რომელიც მას ალექსანდრე აბაშელისადმი მიძღვნილ საღამოზე წაუკითხავს (1811 წ. 30 მარტი), ეხება ძველ ქართულ მწერლობასა და ანბანის წარმოშობის საკითხებს და დასძენს, რომ ჩვენი ანბანი უძველეს დროშიც იარსებებდა, მაგრამ ქრისტიანობის შემოსვლამ უარყოფითი როლი ითამაშა მისი ჩვენამდე მოღწევის საქმეშიო. იგი ლაპარაკობს იმ წიგნებზე, რომლებსაც, მისი წარმოდგენით, აუცილებლად უნდა ეარსება ქრისტიანობამდელ ხანაში. იქვე იხსენებს მირიან ქართლის მეფესთან ქრისტეს გამავრცელებლების მისვლის ფაქტს: მეფე წიგნს („ნებროთიანს“) ჩასჩერებოდაო. აკაკი მრავალმნიშვნელოვნად სვამს კითხვას, თუ სად გაქრა ეს წიგნები და თავადვე პასუხობს: „თუ კი ანტონ კათალიკოსმა ამ XVIII საუკუნეში დასწვა და შეაჩვენა „ვეფხისტყაოსანი“, როგორც მავნებელი რამ, რა გასაკვირალია, რომ ქრისტიანობას, ფანატიკოსობამდის მისულს პირველ-ხანებში, გაექარწყლებიოს ყოველგვარი ნაშთი კერპობის?“ (წერეთელი 1961: 543).

ყველასათვის ცნობილია, რომ აკაკი წერეთელმა მნიშვნელოვანი ამაგი დასდო „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა-ძიებას და თავისი არცთუ უმნიშვნელო სიტყვა თქვა ამ საქმეში. 90-იან წლებში დაწერილ წერილში „გახსენება“, რომელშიც პოეტი ჩვენს მწერლობაში ქართველ ქალთა მიერ შეტანილ მოკრძალებულ წილზე საუბრობს და ამის მიზეზებსაც ასახელებს, აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დედააზრი არათუ მაშინ, დღემდეც კი ბევრს არ ესმის. და დასძენს: „სატრფიალო ზღაპარი ეგონათ, მაგრამ შაირების კაზმულობით ისე იყვნენ მოხიბლული და გატაცებული,

რომ მის უარის ყოფას ვერ ახერხებდნენ, თუმცა მრჩეველები ჰყავდათ და მათ რიცხვში ანტონ კათალიკოზიც. ეს უკანასკნელები ამტკიცებდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანის“ კითხვით ქართველი ქალები მოიხიბლნენ და კეკლუცობას მიჰყვეს ხელიო. ეს ამბავი არც კი ტყუილი იყო: არათუ ქალები ბაძავდნენ ნესტანსა და თინათინს, კაცებიც კი ტარიელ-ავთანდილობას ცდილობდნენ“ (წერეთელი 1958: 51). აქაც ეკლესიისა და ანტონის უარყოფით დამოკიდებულებას უსვამს ხაზს – ქართველი ქალების კეკლუცობა („ვეფხისტყაოსნის“ გავლენით) არაწესიერ საქციელად ითვლებოდა. ზოგადად, ასეთი წარმოდგენა არსებობდა „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ საეკლესიო პირებისაგან (მაგ., გარდა ანტონისა, ცნობილია ტიმოთე გაბაშვილის, სერაპიონ საბაშვილისა და სხვათა უარყოფითი დამოკიდებულებანი შოთა რუსთაველისა და მისი პოემისადმი).

მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, აკაკი წერეთელი ანტონ კათალიკოსს ხელაღებით არასოდეს აკრიტიკებს. დიდ პოეტს კარგად ესმის ამ საეკლესიო მოღვაწის კეთილისმყოფელი გავლენა ქართული კულტურის განვითარებაზე. ანტონი გახლდათ გამოჩენილი ღვთისმეტყველი, მწერალი, ფილოსოფოსი და მეცნიერი. იგი იყო თავისი დროის მოწინავე ორატორი და მჭევრმეტყველი. ზემოხსენებული სამი სტილის მიხედვით, მაღალ მოვლენებზე, ვთქვათ, ღვთისმეტყველების საკითხების, სახელმწიფოებრივი დოკუმენტების, საზოგადო განცხადებებისა და ა. შ. ენა (წერა და ლაპარაკი) მაღალი სტილისა უნდა ყოფილიყო. ამ თეორიის შედეგი ძალზე უარყოფითი გამოდგა. საზოგადოების აბსოლუტური უმეტესობისათვის გაუგებარი იყო მაშინდელ საკანცელარიო მომსახურებაში დამკვიდრებული წერითი და ზეპირი მეტყველების, ზოგადად, ოფიციალური მიმოწერის არსი. სწორედ ამის წინააღმდეგ გაილაშქრა „თერგდალეულთა“ დემოკრატიული იდეებით შეიარაღებულმა ახალგაზრდა თაობამ, რომელთა მოწინავე რიგში იდგა აკაკი წერეთელი. იგი თავის ერთ წერილში, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ ტიპების ხასიათები“ ჰქვია, ისევ იხსენიებს ანტონ კათალიკოსს,

მაგრამ, როგორც ამ წერილის ხელწერას ეტყობა, დიდ პოეტს ანტონის პიროვნებისადმი გარკვეული პატივისცემა გააჩნია: „ანტონ პირველმა, კათალიკოსმა, არანაკლებ ვახტანგზე გამოჩენილმა პირმა, ისეურიგოდ დაინახა „ვეფხისტყაოსანი“, რომ მოაგროვებინა ხელნაწერები, შეაჩვენა, დაწვა და თავის „წყობილსიტყვაობაში“ ასე ამბობს: „რუსთველი, ის დიდი პიიტიკოსი, ტყვილათ დაშვრა ამოთათვის, ღმერთო შეუნდევ, ნუ მოჰკითხავ ამ დიდ ცოდვასო“ (წერეთელი 1960ბ: 86).

როგორც ვხედავთ, აკაკიმ ანტონ კათალიკოსის ღირსებები ზედმიწევნით იცის. მიუხედავად იმისა, რომ სარკასტულად სახავს მის გრამატიკას, ვახტანგზე არანაკლებ გამოჩენილს უწოდებს, თუმცა ვერ ჰპატიობს „ვეფხისტყაოსნისადმი“ უდიერ მოპყრობას და სალიტერატურო ენის სტილებად დაყოფას, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს მწერლობას. აკაკი თითქმის არ უშვებს ხელსაყრელ შემთხვევას, რომ ანტონის მიერ დამწვარი „ვეფხისტყაოსანი“ არ მოიხსენიოს და ამით ქართლის კათალიკოსის რეაქციული სახე კიდევ ერთხელ არ წარმოგვიდგინოს. თვალი გადავავლოთ კიდევ ერთ დრამატულ მოთხრობას – „როგორ გადაჰყვა თავ. გოჯასპი თავის ულვაშებს“. მასში ავტორი სხვა საკითხთან პარალელურ ნააზრევში შოთასეულ სტრიქონებს იყენებს, კერძოდ, იმ ადგილს, როცა თინათინი თავისთან სასაუბროდ უხმობს ავთანდილს. მაშინ თინათინს

„გაცრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი

უსაპირონი,

ეზურნეს მოშლით რიდენი ფასისა თქმად საჭირონი,

შვენოდეს შავნი წამწამნი გულისა გასაგმირონი,

მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი,

არუხშირონი.

დაღრეჯით იყო მჯდომარე მოჭეულითა რიდიტა,

ავთანდილს უთხრა დაჯდომა წყნარა ცნობითა

მშვიდითა“.

აკაკის წარმოდგენით, ქალის ამგვარი მორთულობა, „ვითომ ჩაუძმელობა“, გულქვასაც კი აჟრჟოლებს და

ამიტომაც ამ თინათინის მიხედვით კეკლუცობდნენ ახალგაზრდა ქართველი ქალები. „ხანში შესული ქალები რომ ჯერ ფერ-უმარულოს იცხებდნენ, წარბ-წამწამებს ისურმავდნენ და მსმელობას ატანდნენ ძალას, განა ფატმან ხათუნს არ ბაძავდნენ? ამიტომაც, უკუღმართად გაიგო ანტონ კათალიკოსმა „ვეფხისტყაოსანი“, მოაგროვა ხელნაწერები, შეაჩვენა და დასწვა: „ხალხს სააშიყოდ იტაცებს... ეშმაკის გზით მიჰყავსო“ (წერეთელი 1958: 222).

ასევე საინტერესოა აკაკის მონათხრობი „ახირებული ფურცელი“ (წერეთელი 1960ა: 17). ამ წერილში აკაკი აკრიტიკებს გორისელ ექვთიმე წერეთელს, რომელიც დიდ პოეტს „ჭრელადმეებში“ ჩაურიცხავს. ეს ჭრელადმეები კი არცთუ ისე ძველი ქართველები არიან, ქართველობა რომ იცოდნენ. ჭრელადმეები არიან „ქართულზედ რომ ხელს იღებენ, ვედარც რუსულს ახერხებენ, უღვაშებს ემტერებიან, რუსულად ბაკებს უშვებენ... ეს გახლავან ჭრელადმენი, საქართველოს ფუჭნი ძენი, უსწავლელნი სწავლულები, კოტრი-კრეზნი, სულელ ბრძენნი“.

წერილში აკაკი ანტონისეული მაღალი სტილის საზოგადოებისათვის უსარგებლობაზე საუბრობს, ხაზს უსვამს მის გაუგებრობას და დამაჩლუნგებელ ზემოქმედებას. იგი გორისელის წერილს „სიჩერჩეტედ“ მიიჩნევს. მართალია, მასში სიტყვები გასაგებია, რასაც მიესალმება, მაგრამ ასეთ „სიჩერჩეტეს“ რაც უფრო ცოტა წაიკითხავს და თანაც ვერ გაიგებს, მით უფრო უკეთესიაო. აკაკი დასძენს: „იმ დალოცვილს ანტონ კათალიკოსსავით ღრმად რომ დაეწერა ბევრი ვერ გაიგებდა და კარგი ეგონებოდა და ახლა კი ყველა შეიტყობს, რომ ავტორს ცარიელი გუდა გაუბერტყავს. მაგრამ რა მრჯის მე... რა ჩემი საქმეა გორისელის წერილის განხილვა, ერთი გულჩრვილი კაცი გახლავარ... მაგრამ ეს კი შევატყვე, რომ უფალს ზემო იმერელს, წერეთელს ეფთვიმეს, არ ესმის პოეზია“ (იქვე).

სამი სტილის თეორიის უარყოფით გამოძახილზე აკაკი მოკლედ მიანიშნებს თავის კიდევ ერთ დრამატულ წერილში „ენების გასამართლება“. სცენა წარმოადგენს სასამართლო დარბაზს. შუაში – მრავალჭირნახული და

მრავალჭრილობიანი ქართლოს, იქით და აქეთ – უფრო ახალგაზრდები: იმეროს და ამეროს. შემოაქვთ სამი ენა, ერთი უთავბოლოდ მრგვალია და წინ ნოეს ყავარჯნით ერთი ახმახი ადვოკატი მოუძღვის. მეორე ენა უშნოდ ბრტყელია და ახლადნამძინარევი ნებიერი ადვოკატი მოჰყვება, ხოლო მესამე წვრილია და ჯარასავით მბრუნავი ადვოკატი ახლავს. ენები ერთმანეთს უჩივიან. მსაჯულის კითხვაზე – თუ რა ბრალს სდებს სხვა ენებს, ახმახი პასუხობს: „...ვიწყებ უბნობად: ორღანო იგი, სახმარი გამოსამეტყველებლად... გასაგონ არს მხოლოდ რჩელთათვის და არა საზოგადოდ. ოდესცა შემდეგ ლიტურდიისა, დღესა ერთსა უბნობად ჰყვეს კათალიკოსმა ანტონ და მიტროპოლიტმა ბოდბელმა, ერი გამგები ვერცა ერთისა მარცვლისა მათ მიერ თქმულისა, ცდუმდა საკვირველებითა. ამგვართა მაგალითთა ძალგვიძს წარმოდგენად ლეგეონი, გარნა მრავალმეტყველებითა არა სცხონდინ...“ (წერეთელი 1960ა: 109). ყველაზე გამართული ენით მოსამართლეს მბრუნავმა ადვოკატმა მოახსენა: „რადასთვის ან ვილასთვის არის საჭირო ის ენა, რომელსაც ვერც ერი გაიგებს და ვერც ბერი“. განჩინებით დაადგენენ: „უმჯობესია საიქიოს გაიგზავნოს... განუსვენოს იქ, სადაც მართალთა სულნი განისვენებენ“ (იქვე).

აკაკი წერეთლის ლიტერატურულ-კულტურული შემოქმედება ყოველთვის ემყარებოდა ძველ ქართულ მწერლობას, თუმცა ახალ დროში ძველი სალიტერატურო ენის გაურკვევლობის დაძლევა დროის მოთხოვნად იქცა, რასაც ასე მკაფიოდ მიაპყრო ყურადღება ახალმა თაობამ, რომელთა შორისაც დიდმა პოეტმა მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა. ანტონ კათალიკოსის წიმაღლმდეგ გამოთქმული მისი მძაფრი კრიტიკაც ამის დასტურია.

გამოყენებული ლიტერატურა

წერეთელი 1958 – წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VIII, თბილისი, 1958.

წერეთელი 1960ა – წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XI, თბილისი, 1960.

წერეთელი 1960 – წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XII, თბილისი, 1960.

წერეთელი 1961 – წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, თბილისი, 1961.

წერეთელი 1988 – წერეთელი ა., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. I, თბილისი, 1988.

Tengiz Gumberidze

AKAKI TSERETELI ABOUT CATHOLICOS ANTON

Summary

Catholicos Anton I was an interesting figure in many ways. He was given his rightful place in the bosom of our history and his contributions were pretty much appreciated. However, ancestors' incorrect dimensions have always been puzzling for descendants. Anton's case was not an exception. It took great effort and struggle to overcome the negative consequences of his Three Styles' Theory. The new generation declared this battle against him.

Akaki Tsereteli got actively involved in the battle for the establishment of the new Georgian literary language initiated by Ilia Chavchavadze. He opposed the generations of fathers and always appropriately “adorned” the author of the Three Styles' Theory whenever he mentioned him.

From the very beginning, Akaki Tsereteli disapproved of the division of the literary language into styles. Akaki also had a very negative attitude towards Anton's reactionary manifestations of hatred expressed towards Shota Rustaveli's “The Man in the Panther's Skin”.

Some of Akaki's stories and dramatic works like "Remembrance", "Fractious Sheet", "Characters of the "MPS" Types" and others are of great interest in which the author almost never misses an opportunity to mention "The Knight" burned by Anton, and thus once again present the reactionary face of the Catholicos of Kartli.

The great poet has a thorough knowledge of Anton Catholicos' virtues as well. Although Akaki lays out Anton's views sarcastically, he speaks of him as being no less outstanding than Vakhtang. But, he can't forgive his ill-treatment to "MPS" and the division of the literary language into styles, which caused damage to our literature.

Overcoming the uncertainty of the literary language became highly required in the new era and was so clearly focused on by the new generation, including the important role of Akaki Tsereteli. His strong criticism against Catholicos Anton is the proof of this.

თამაზ დევიძე

**დიდმარხვის მეოთხე კვირის
საყვარო კანონი
„მარხვანის“ ქართულ ხელნაწერებში**

დიდმარხვა და ზატიკი ლიტურგიკული წელიწადის მოძრავი პერიოდებია. დიდმარხვაში კვირის ციკლის მსახურება სრულდება „მარხვანიდან“. „მარხვანის“ როგორც ჰიმნოგრაფიული კრებულის განვითარება დიდწილადაა დაკავშირებული საეკლესიო კალენდრის ფორმირების ხანგრძლივ პროცესთან.

დიდმარხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ, მარხვის შინაარსიდან გამომდინარე, სრული ლიტურგია მხოლოდ შაბათსა და კვირას ტარდება. ეს წესი გარკვეულ შეზღუდვას ქმნიდა წმინდანთა მსახურების აღსრულებისათვის. ადრე არსებული პრაქტიკის თანახმად, ასეთ შემთხვევებში წმინდანთა ხსენება შაბათ დღეს აღესრულებოდა. ეს გადაწყვეტილება ლაოდეკიის ადგილობრივ კრებაზე იქნა მიღებული:

„ვითარმედ არა ჯერ-არს მარხვათა დღესასწაულისა მოწამეთაჲსა გარდაჲდამ, არამედ წმიდათა მოწამეთა საცხენებელი შაბათსა და კვრიაკესა სრულ იქმნებოდედ“ (ლაოდ. 51).

ამ გარემოების გათვალისწინებით, არცთუ იშვიათად დიდმარხვის პერიოდის წმიდათა ხსენება რომელიმე კონკრეტულ შაბათსაა მითითებული.

რაც შეეხება დიდმარხვის პერიოდის კვირა დღეებს, დღეს მათ პერსონალური სახელწოდებები აქვთ მინიჭებული. დიდმარხვის მეოთხე კვირას მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს წმინდა იოანე კლემასს, კიბისადმწერელს.

„კვრიაკესა მეოთხესა წმიდათა მარხვათასა, დასდებელნი აღდგომისა გ, აღმოსავლური დ, და თთუენისა გ. ხოლო ესეცა უკანასკნელ განეწესა გალობად, შედეგი წმიდისა იოანე კიბისადმწერელისა“ (მარხვანი 1901: 319).

დამოწმებული ციტატიდან ჩანს, რომ ცისკრის განგებაში მითითებულია ოთხი კანონი:

1. კანონი აღდგომისა – 4 მუხლი
2. კანონი ღვთისმშობლისა – 2 მუხლი¹
3. კანონი „მარხვანისა“ – 4 მუხლი
4. კანონი წმიდისა (წმ. იოანე კიბისადმწერელი) – 4 მუხლი.

1901 წელს დაბეჭდილ „მარხვანში“, რომელიც დღესაც გამოიყენება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საღვთისმსახურო პრაქტიკაში, „მარხვანის“ საცისკრო კანონის თითოეული გალობა, ძლისპირის გარდა, შედგება ოთხი მუხლისაგან, გამოცემაში არაა მითითებული საგალობლის ავტორი, არ დასტურდება კანონის დასათაურება.

საგალობლის ტექსტი შინაარსობრივად უკავშირდება მოწყალე სამარტელის იგავს. მმარხველი ადამიანი გაიაზრება როგორც იგავის ის პერსონაჟი, რომელიც იერუსალიმიდან იერიქონში მიდიოდა და გზად ავაზაკთა თავდასხმის მსხვერპლი გახდა.

მაგალითად:

„ბოროტთა გულისთქმათა
და მწარეთა გულისსიტყუათა
მსგავსად ავაზაკთა მომწყლეს
უწყალოდ, სახიერ,
და ვსძე სასოწარკვეთილი
და განწირული,
განმკურნე, მცსნელო, და მაცხოვნე მე“;

¹ აღდგომისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კანონები იკითხება კარაკლიტონიდან.

„ვიდოდი რა, ქრისტე ღმერთო,
საწუთოსა ამის გზასა,
ყოვლად უწყალოდ მოწყულულ ვიქმენ ვნებათა ჩემთა,
ავაზაკთა მიერ,
და დავშთი მომწყდარი უღუაწად,
არამედ შენ მოწყალე მექმენ
და განკურნე სული ჩემი გევედრები“ (მარხვანი 1901: 323).

დიდმარხვის მეოთხე კვირას საღმრთო ლიტურგიაში იკითხება ორი სახარება:

1. მარკოზის სახარება დას. 40, IX, 17-31;
2. მათეს სახარება დას. 10, IV, 25-V, 12.

პირველი მონაკვეთი უშუალოდ ამ კვირის საკითხავია, ხოლო მეორე – ღირსი მამის, ამ შემთხვევაში წმ. იოანე კლემაქსის, ხსენებასთანაა დაკავშირებული (კალენდარი 2011: 47). გამომდინარე აქედან, საგალობელთა თემატიკა სახარების საკითხავთა განაწილების თანამედროვე პრაქტიკით შეპირობებული არ არის. ბუნებრივია, თემატური განსხვავების მიზეზი „მარხვანის“ განვითარების ისტორიაში უნდა ვეძებოთ.

როგორც „მარხვანის“ ქართული წყაროები მოწმობს, ჩვენთვის საინტერესო საცისკრო კანონის ავტორია წმ. ელია იერუსალიმელი. იგი მოღვაწეობდა VIII საუკუნეში და ნაყოფიერი ჰიმნოგრაფი იყო, თუმცა მისი მემკვიდრეობიდან ბევრი რამ დაიკარგა.

„насчитывается около 20 его самогласных канонов на различные большие праздники – Пасху, Богоявление и др., и просто на воскресные дни. В печатной триоди из его произведений осталось очень мало“ (Карабинов 1910: 114).

წმ. ელია იერუსალიმელის ეს საცისკრო კანონი ასახავს ტიპიკონის განვითარების იმ ეტაპს, როცა დიდმარხვის მეოთხე კვირას საღმრთო ლიტურგიაში იკითხებოდა მოწყალე სამარიტელის იგავი ლუკას სახარებიდან: „4-я недел поста: 1. Мф. 21, 33–46 (о злых виноградарях). 2. Лук. 10, 25–37 (о милосердном самарянине)“ (Карабинов, 1910: 23-24). შესაბამისად, ამ დღისადმი მიძღვნილი გალობების ტექსტიც

ამ თემატიკაზე შეიქმნა. დროთა განმავლობაში ეს ვითარება შეიცვალა – დიდმარხვის შაბათსა და კვირას (გარდა პირველი და მეექვსე კვირიკისა) ლიტურგიაში იკითხება მარკოზის სახარება. შეიცვალა სახარების მონაკვეთი, მაგრამ საცისკრო კანონი დარჩა იგივე.

საინტერესოა, რომ იგავის მთავარი პერსონაჟი – მოწყალე სამარიტელი არც ერთხელ არ იხსენიება. საყურადღებოა ისიც, რომ მოსალოდნელ ადგილებში იხსენიება ქრისტე, რომლის სახეცაა იგავში სამარიტელი, ვინც ავაზაკებისგან დაჭრილ და გაძარცვულ ადამიანს ეხმარება. შეიძლება ითქვას, რომ კანონი გვთავაზობს მოწყალე სამარიტელის იგავის ალეგორიულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც ავაზაკთაგან მოწყვლული არის ნებისმიერი ჩვენგანი, ავაზაკები არიან ვნებები, ხოლო სამარიტელი არის უფალი იესო ქრისტე. ამ იგავის მსგავს განმარტებას ვხვდებით ორიგენესთან III საუკუნეში და შემდგომ სხვა მამებთან (<https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-luki/glava-10/stih-33/>).

საინტერესოა, რომ „მარხვანის“ ქართულ ხელნაწერებში დასტურდება სათაური, რომელიც უმეტეს შემთხვევაში წინ უძღვის მეოთხე კვირის წეს-განგებას. მაგალითად, Par.5 ხელნაწერში.

„მასვე კვრიაკესა მარხვისა და ავაზაკთა მოწყვლულისა“ (Par. 5: 117r).

ამ და სხვა შემთხვევებშიც იგულისხმება ადამიანი, რომელიც ავაზაკებმა „მოწყლეს“. შედარებით გვიანდელ ხელნაწერებში, მათ შორის, ქუთაისის სახელმწიფო-ისტორიულ მუზეუმში დაცულ „მარხვანში“ (K79) სათაურის მნიშვნელობა შედარებით ბუნდოვანი ხდება.

„კვრიაკესა დ. ავაზაკთა მოწყვლვისა“ (K79: 151v).

ამ შემთხვევაში გვაქვს გადამწერის შეცდომა. იგავის მიხედვით, სწორედ ავაზაკები ესხმიან თავს ადამიანს, რომელიც იერუსალიმიდან იერიქონში მიდიოდა. ავაზაკთა მოწყვლა კი მიუთითებს, რომ თავად ავაზაკები გახდნენ თავდასხმის ობიექტი. სავარაუდოდ, შეცდომა გამოწვეული იყოს იმ გარემოებითაც, რომ ხელნაწერის შექმნის პერიოდში დიდმარხვის მეოთხე კვირასთან აღარ იყო დაკავშირებული

ლუკას სახარების შესაბამისი მონაკვეთი მოწყალე სამარიტელის შესახებ.

რაც შეეხება შედარებით ადრეული პერიოდის ხელნაწერებს, საინტერესოა, რომ ელია იერუსალიმელის ეს კანონი შეტანილი არ არის sin.5 ხელნაწერში:

„მეოთხესა კვრიაკესა დასდებელნი უფალო ღაღადყავსა, ჯმაჲ ა გუერდი, მინჩხი. – სიბრძემან ღმრთისამან ინება გარდამოსლვად ზეცით...“ (sin.5: 124r).

ამ დასდებლებს მოჰყვება ორი საცისკრო კანონი, რომელთაგან პირველი აღდგომისადმია მიძღვნილი (sin.5: 129r). ანალოგიური ვითარებაა sin.75 ხელნაწერშიც.

საინტერესოა sin. 70 ხელნაწერი. Par.5-სა და მის მსგავსად K79 ხელნაწერში სათაური წინ არ უძღვის უშუალოდ საცისკრო კანონს, მწუხრის განგებაშია მოცემული. Sin.70 ხელნაწერში ეს სათაური ორივე შემთხვევაში დასტურდება:

„მეხუთესა კვრიაკესა, მარხვისაჲ და ავაზაკთა მოწყლულისაჲ. მჯდომ. გ გუერდი - ცოდვათა წყლულებითა იგუემნეს ბექნი ჩემნი ავაზაკთა მიერ უკორცოთა ბოროტთა...“ (sin. 70: 102r);

„მასვე კვრიაკესა გალობანი მარხვისანი და ავაზაკთა მოწყლულისანი, გ გუერდი. რომელმან წამისყოფით. - მოვედით, წადიერად შემატკბობელნო მარხვისანო, კეთილად სრულვყოთ იგი...“ (sin. 70: 103v).

აღსანიშნავია ერთი საყურადღებო გარემოებაც. Sin. 70-ში მეოთხეს ნაცვლად ამ კვირა დღეზე მითითებულია, რომ არის მეხუთე. ამის დასტურია ის, რომ მომდევნო კვირიაკეც მეხუთედაა ჩათვლილი:

„მეხუთესა კვრიაკესა მწუხრი, ჯმაჲ ბ. თქუენ წინადაწარმეტყუ. - აღვიდოდით ყოველნი ღელესა იოსაფატისასა, რომელი გვჩუენებს გლოვისა სახესა...“ (sin. 70: 140v).

შედარებით გვიანდელ გულანებში, K16-სა და K38-ში დასტურდება მინიშნება, რომ განგება არის ავაზაკთა მოწყლულის შესახებ (K16: 923r), (K38: 916v).

ორივე გულანში შემოკლებულია, მაგრამ, განსხვავებით 1901 წლის გამოცემისაგან, ერთი ტროპარი

აკლია. საგულისხმოა ისიც, რომ ამ გულანებში არ არის მითითებული წმინდა იოანე კლემაქსის საცისკრო კანონი – დასტურდება მითითება მხოლოდ აღდგომის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მარხვანის კანონის შესახებ (K16: 924v), (K38: 917r).

1901 წელს დაბეჭდილ „მარხვანში“ ელია იერუსალიმელის ეს კანონი შეტანილია, მაგრამ არასრულად, შემცირებული სახით.

კანონის შემცირება განპირობებული უნდა იყოს ამ დღის მსახურების დატვირთვით, საცისკრო კანონში გაჩნდა ღირსი იოანე კლემაქსისადმი მიძღვნილი კანონიც, შესაბამისად, მცირდება „მარხვანის“ კანონი.

ეს კანონი დასტურდება „მარხვანის“ ძველბერძნულ ხელნაწერში Sin. Gr. 734-735. ამ ნუსხაში მეოთხე შვიდეულის წეს-განგება მოცემულია 49v-51v გვერდებზე და შეიცავს საცისკრო კანონის მხოლოდ ერთ ვარიანტს. საინტერესოა, რომ, გალობათა შედგენილობის თვალსაზრისით, ქართულ ვერსიებთან მიმართებით დასტურდება მნიშვნელოვანი განსხვავებები. თავის მხრივ, ქართული წყაროებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. როგორც მოსალოდნელი იყო, სრულყოფილ ვერსიას გვთავაზობს Par.5 ხელნაწერი. ამ ხელნაწერის მიხედვით, ტროპართა რაოდენობა თოთოეულ გალობაში ამგვარ სურათს ქმნის:

I გალობა	5 ტროპარი
III გალობა	5 ტროპარი
IV გალობა	5 ტროპარი
V გალობა	5 ტროპარი
VI გალობა	5 ტროპარი
VII გალობა	5 ტროპარი
VIII გალობა	5 ტროპარი
IX გალობა	6 ტროპარი

ცხრილი 1.

შემდგომ პერიოდში ტროპართა რაოდენობა მცირდება. კანონის სტრუქტურაში გამოვლენილ ცვლილებათა საილუსტრაციოდ, განვიხილოთ IX გალობის შედგენილობა სხვადასხვა წყაროს მიხედვით. ცხრილში შეტანილია ჩვენი მიერ დამოწმებული ძველბერძნული ხელნაწერის ჩვენებაც.

Sin. Gr. 734-735	Par.5	K79	K16	1901 წლის გამოც.
—	[1 1 8 v] მარხვისა და მოღუაწებისა შრომითა...	მარხვისა და მოღუაწებისა შრომითა...	მარხვისა და მოღუაწებისა შრომითა...	—
—	ადგუმართენ და[ჰსნილნი] ე ს ე შეცოდებათა...	—	—	—
[51v]Εντολας σου Δέσποτα...	ნ ე ფ ს ი თ თვისით არამ დავიმარჯვენ...	ნ ე ფ ს ი თ თვისით არამ დავიმარჯვენ...	—	ნ ე ფ ს ი თ თვისით არამ დავიმარჯვენ...
Να Λεσίτης ἰσχυσεν...	ვ ე რ ც ა მ დ ე ლ მ ა ნ და ვერცა ლევი-ტელმან მეუძლეს...	—	ვ ე რ ც ა მ დ ე ლ მ ა ნ და ვერცა ლ ე ვ ი - ტელმან	ვ ე რ ც ა მ დ ე ლ მ ა ნ და ვერცა ლევი-ტელმან მეუძლეს...
Ος ὑπάρχων ἐν σπλάγχχνος	[1 1 9 r] გუემული ესე ავაზკთა მიერ უწყალოთა...	—	გ ე ე მ უ ლ ი ესე ავაზკთა მ ი ე რ უწყალოთა...	გუემული ესე ავაზკთა მიერ უწყალოთა...
—	მ ტ ე რ თ ა ჩ უ ე ნ თ ა მოწევნად...	მ ტ ე რ თ ა ჩ უ ე ნ თ ა მოწევნად...	მ ტ ე რ თ ა ჩ უ ე ნ თ ა მოწევნად...	—

ცხრილი 2.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, ტროპარების რაოდენობა მცირდება, მაგრამ ამ პროცესს არა აქვს ერთგვაროვანი ხასიათი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს პროცესი თავისუფალი იყო. საინტერესოა, რომ ქართულ და ძველბერძნულ ნაბეჭდ „მარხვანებშიც“ დასტურდება განსხვავდება. 2014 წელს ათენში გამოცემული „მარხვანი“ გვთავაზობს ტროპართა იმ მიმდევრობას, რომელიც Sin. Gr. 734-735 ხელნაწერში დასტურდება (Τριώδιον Κατανακτικόν, 2014: 289).

დასკვნები

ელია იერუსალიმელის საცისკრო კანონი „ავაზაკთაგან მოწყვლის“ შესახებ შექმნილია მოწყალე სამარიტელის იგავის ეგზეგეტიკაზე და დიდმარხვის მეოთხე კვირას იკითხება, თუმცა, თემატური თვალსაზრისით, საგალობლის შინაარსი არ ემთხვევა საკვირაო სახარებას (მარკ. დას. 40, IX, 17-31).

ეს კანონი ასახავს იმდრონდელ ვითარებას, როცა დიდმარხვის მეოთხე კვირას საღმრთო ლიტურგიაში იკითხებოდა მოწყალე სამარიტელის იგავი ლუკას სახარებიდან.

კანონის ვრცელი ვარიანტი დასტურდება Par.5 ხელნაწერში, შემდგომდროინდელი ქართული წყაროები კი მის შემოკლებულ ვარიანტს გვთავაზობს. ამ შემოკლებას არაერთგვაროვანი ხასიათი აქვს და, გალობათა შედგენილობის მიხედვით, ქართული ხელნაწერები განსხვავებას გვიჩვენებს.

კანონი დასტურდება „მარხვანის“ ძველბერძნულ წყაროში Sin. Gr. 734-735. გალობათა ტექსტი ამ შემთხვევაშიც შემცირებულია და ამ კუთხით განსხვავდება ჩვენ მიერ განხილული ქართული ხელნაწერებისაგან.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

K79 ხელნაწერი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.

K16 ხელნაწერი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.

K38 ხელნაწერი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.

Par.5 ხელნაწერი, საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა.

Sin.5 ხელნაწერი, წმინდა ეკატერინეს მონასტერი, სინას მთა.

Sin.5 ხელნაწერი, წმინდა ეკატერინეს მონასტერი, სინას მთა.

Sin.70 ხელნაწერი, წმინდა ეკატერინეს მონასტერი, სინას მთა.

Sin.734-735 manuscript, St. Catherines Monastery, Mount Sinai.

დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე.გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლიძემ, გ. წინუამ. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975

მარხვანი 1901: ტრიოდინი-მარხვანი, ტფილისი, ექვთიმე ხელაძის სტამბა, ტფილისი, 1901.

კალენდარი 2011: საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი, თბილისი, საქართველოს საპატრი-არქო, 2011.

Карабинов 1910: Карабинов, И., Постная Триодь. Исторический обзор. Санкт-Петербург, типография В. д. Смирнова, 1910.

ინტერნეტრესურსები

<https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-luki/glava-10/stih-33/>
დამოწმება: 7. 10. 2024.

**THE MATINS CANON
OF THE FOURTH SUNDAY
OF GREAT LENT IN THE GEORGIAN
MANUSCRIPTS OF LENTEN TRIODION**

Summary

Great Lent and Paschal Season (including Pentecost) are moving periods in the liturgical year. In Great Lent, the weekly cycle of services is read from the Lenten Triodion. The development of the Lenten Triodion as a book of hymns is connected with the development of the church calendar.

On the fourth Sunday of Great Lent, the Church commemorates St John Climacus, also known as John the Ladder. The Matins Canon consists of four separate canons - the Canon of Easter, the Canon of the Most Holy Mother of God, the Canon of Triodion, and the Canon of St John Climacus. The author of the Triodion canon is the famous hymnographer St. Elias of Jerusalem. This canon was based on the exegesis of the parable of the Good Samaritan in the Gospel of Luke. On the fourth Sunday of Lent, this part of the Gospel was read in the Divine Liturgy. Later this practice changed.

The Georgian manuscripts of the Lenten Triodion redacted by St. George the Hagiorite include this canon by St. Elias of Jerusalem. At the commencement of the fourth Sunday service, it is indicated that the hymns are dedicated to the gospel parable about the person wounded by thugs.

In the context of contemporary liturgical practice, this canon is typically presented in a shortened form. As evidenced by two seventeenth-century Gelatian gospels, the reduction of the canon is likely to have commenced at an early stage.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

**მწერლის ენის საკითხები –
დიალექტიკები
ოლია ბრატვიშის პროზაში**

მწერლის ენისა და სტილის კონკრეტულ საკითხებს ჩვენს სინამდვილეში დიდი ადგილი არ ეთმობა. საინტერესოა თვით მწერლის დამოკიდებულება მშობლიური სოფლის, კუთხის მეტყველებისადმი. მიგვაჩნია, რომ მწერალი ზოგადად უნდა ამდიდრებდეს როგორც სალიტერატურო ენას, ისე დიალექტურ მეტყველებას.

ასევე უნდა ითქვას, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტილისტიკის საკითხების დამუშავებას როგორც ზოგადად, ისე ინდივიდუალურად.

მწერალს დიდი შესაძლებლობები გააჩნია, რადგან ის უკვე ფიქრობს თხზულების ქარგაზე, კულტურაზე; გათავისებული აქვს, როგორ განავითაროს ყველა დეტალი, მათ შორის ენობრივი კუთხით - დიალექტური, ფრაზეოლოგიური ერთეულები, რაც ბუნებრივად უნდა იყოს აღწერილი და წარმოდგენილი. ხშირად ასეც ხდება, რომ ამ მნიშვნელოვან საკითხს პროზაიკოსები გვერდს უვლიან, რაც სამწუხაროა.

ენობრივი დახასიათების გარეშე ტიპი არ იქმნება, ხოლო დიალექტური მეტყველება, დიალოგი კარგად წარმოაჩენს ნებისმიერ ტიპს. პერსონაჟის ენა ცოცხალი მეტყველების ანარეკლია, აქ კარგად ჩანს ახალი სიტყვები, კომპოზიტები,

ასევე, არქაული მოვლენები, რომლებიც დარჩენილია ხალხში და მას გამოვლენა სჭირდება.

გამოთქმა – სტილი ეს თვითონ ადამიანია – გამართლებულია, რადგან ყველა მწერალი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რომელიც ობიექტურ სტილს უნდა გულისხმობდეს. სწორედ ორიგინალური სტილით ხასიათდება ოლია ბრაგვაძე, რომელიც გამოირჩევა სხვა მწერლებისაგან.

მწერალი დაიბადა და გაიზარდა კახეთში, წარმატებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის დაკულტეტი, აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა; არის სულიერების სფეროს მესიტყვე, ოსტატი, რამდენიმე პროზაული კრებულის ავტორი.

საანალიზოდ ავიღეთ მისი შემოქმედებიდან „აქეთური-იქითური“ (ნოველები, დიდ-პატარა მიანიატურები, წერილები), რომელიც სიხარულის მომგვრელია, ცრემლის გარეშე ვერ მოსწყვეტთ თვალს და, რაც მთავარია, „აქეთურ-იქითურში“ კახეთი და ქართლი იგულისხმება, რომელიც მწერლის საფიცარი მხარეებია. ავტორი დღეს აქეთ, ე.ი. ქართლში, მოღვაწეობს, იქით – კახეთისკენ მიუწევს გული, გარბის, რომ მშობლიური სახლი, ეზო-კარი მოინახულოს; დატვირთვის მიუხედავად, ყოველივე ამას წარმატებით ახერხებს, იგი დიდი გულის პატრონია, მისი კეთილშობილება არა მარტო ვაზისუბნელებისა და გორელებისათვისაა ცნობილი.

ოლია ბრაგვაძის ზემოხსენებულ თხზულებაში კახური დიალექტის წარმოჩენა ცოცხალ მეტყველებაზე ავტორის უშუალო დაკვირვებებს, სანდო დიალოგებს ემყარება. ეს დაკვირვებები უპირველესად თავის სოფელ ვაზისუბანში და ნათესავ-მეზობლებში აქვს მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ ტექსტები შინაარსობრივად მრავალფეროვანია. მასში ასახულია ადამიანთა თავგადასავლები, მოგზაურობა, გადმოცემები, მეზობელთა ტკბილ-მწარე ცხოვრება, ხალხური თქმულებები და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოლიტიკური ამბებიც, რომლებიც ასე ამშვენებს მწერლის შემოქმედებას.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ქართლურ დიალექტთან ერთად დიდი როლი ენიჭება კახურს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული. ალბათ ეს არის მიზეზიც, რომ სხვადასხვა ფორმებით არის გამორჩეული, რადგან მხარეში ცხოვრობენ: წოვათუშები, ჩაღმათუშები, ხევსურები, მთიულეები, მოხევეები, არიან ქიზიყელები, ფშაველები, ინგილოები და სხვა.

ცნობილია, რომ შაჰ-აბასმა მე-17 საუკუნის დასაწყისში და შემდგომ მისმა მემკვიდრეებმა დიდი უბედურება დაატყეს თავს კახეთს, ათასობით მოსახლე გადაასახლეს ირანის შორეულ პროვინციებში, რითაც შეთხელდა მხარე. მომდევნო პერიოდში აქ დასახლდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის (იმერეთი, რაჭა, ქართლი) მოსახლეობა, რაც დღესაც ასახულია მეტყველებაში.

ასეთ დროს იცვლება დიალექტისა და სალიტერატურო ენის ურთიერთდამოკიდებულება. სალიტერატურო ენა სწრაფად ვრცელდება ურბანიზაციის გამო, ხოლო დიალექტები, მათ შორის კახური, მართალია, ჯერ მყარად დგას, მაგრამ ნელ-ნელა კარგავს თავისთავადობას.

ხდება ისეც, რომ დიალექტები, მათ შორის კახურიც, ინარჩუნებს თავისებურებებს და გავლენას ახდენს სალიტერატურო ენაზე, რომელიც ასევე ითვისებს დიალექტურ მოვლენებს და ამდიდრებს საერთო ენის ლექსიკას.

კახური დიალექტი, რომელიც ქართლურთან ერთად ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლად ითვლება, აღმოსავლეთ საქართველოში დიდ ტერიტორიაზე განფენილი და უნდა ითქვას, რომ ამის ძირითადი მიზეზი ორი მხარის ტერიტორიული სიახლოვეა, როგორც ისტორიულად, ისე დღევანდელი თვალსაზრისით. ასევე, ორივე დიალექტი ბევრითი შედგენილობის მიხედვით არ განსხვავდებიან, მათ ბევრი საერთო აქვთ ლექსიკაშიც.

კახურ დიალექტზე საკმაო ლიტერატურა არის გამოქვეყნებული. მათ შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ აკაკი შანიძის ცნობილი გამოკვლევა: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური

პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920). გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ორივე მთავარ დიალექტში, ასევე ფშაურში, ქიზიყურში ჳ პრეფიქსი დაიკარგა და მისი ადგილი დაიჭირა **ჲ** ბგერამ, რომელმაც შეარყია სანის მდგომარეობაც (შანიძე 1920: 150).

როცა კითხულობ მწერლის ნაწერებს, სადაც ძველი ქართულის ასო-ბგერები დასტურდება და ჯერ კიდევ შემორჩენილია კახელთა მეტყველებაში, უნებურად ამ დიალოგების მონაწილე ხდები.

იოტი (სუსტი ი) პალატალური ბგერაა, რომელიც ენის შუაწელის მაგარ სასასთან შეხების დროს წარმოითქმის. იგი ამავე დროს უმარცვლოა და წინა ხმოვანთან ერთად დიფთონგს ქმნის. უნდა ითქვას, რომ ეს ბგერა ბევრი დიალექტისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ კახეთში ძლიერ არის ფეხმოკიდებული.

მწერლის თხზულებებში **ჲ** (იოტი) დასტურდება სხვადასხვა შემთხვევაში:

სიტყვის შუაში:

კანაან მიხუა სათარ ქვეშ მოყვა.

ზუღტად მითხარი.

გაყვა უბნი კაცებ ტყეში.

გოგოებ ელეთმელეთი მოდდიოდათ.

სიტყვის ბოლოში:

კვირაჲ ველიციხეჲ ბაზრობაზე წავიდეთ.

მაჲ ხმაჲ არ ამოიღო?

კაკლი ხეჲ მარტო ძირი უდგა.

თათარობაჲ რო გათხუე დიდი ქვაბი.

დაიძინე, როგო იმუშავე, რო ვერ გაიგე...

დამავალი დიფთონგები:

ჩემი ბიჭების გამწარებაჲ არ შევარჩენ.

ვენახიჲ გაჩეხვა არ გვაპატია ღმერთმა.

წამალი რამე ასუნთქე, გააბრუე და იგრე დაიძინე.

მამაჲ ბიჭებო ეხლა მაინც მათხუეთ ყური.

მეტყველებაში შეიძლება დაიკარგოს როგორც ხმოვანი, ისე თანხმოვანი. დაკარგვას ადგილი აქვს სიტყვის ძირში საწარმოებელ ელემენტებში. მაგალითად:

რ ბგერა იკარგვის სიტყვის ბოლოში:
 როგო იყო იმათი საქმეჲ?
 როგო არი მეთქი ადრე რო გითხარ?
 რო რითვინ მოვედით დაგვაფიწყდა...
 კავშირებში შეიძლება დაიკარგოს მ თანხმოვანი, რაც
 მწერლის ნაწერებშიც არის ასახული:
 ჟენი რა კარგია რო მოხველ.
 წადი გაიგე ხო არ დაგიჟდნენო?
 ხო გითხარ არ დაგიკლამ მეთქი.
 მიხვდა რო შეეხებოდა ესე.
 ემგატიკური ხმოვანი არაიშვიათია დიალექტებში.
 როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია,
 კახურში ა სავრცობი ხშირია მიცემითი, ნათესაობითი,
 მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმებში. ა
 ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მეტყველების ნაწილთან,
 მათ სორის ნაცვალსახელთან, კავშირთან, თანდებულთან
 და სხვებთან:
 მარტო ჩვენა ვმუშაოფდით.
 მაგათა თითონა მაიტანეს.
 ეგეთი გულისა ვარ.
 როგო ვთქვა დაზურგულსა გზავნიან.
 ასევე გვხვდება ხმოვანთა ასიმილირებული ფორმები:
 ძმები გედეეკიდნენ.
 მე დემემუქრა!
 ქვეშაგებს დეეკარ?
 წყალი თავზე გედევლება...
 ცნობილია, რომ კახურში ძირითადად გავრცელებულია
 ებ-იანი მრავლობითი რიცხვი, ასევე, ვხვდებით ნარ-
 თანიანის ფორმებსაც, ორივეგვარი წარმოება დასტურდება
 მწერლის მოთხრობებში:
ოთხიენი თავისუფლები იყვნენ.
 ამას ადრეც იყვნენ **ნაზიარებნი**.
 საჭირო **იარაღები** წამოღებული მაქ.
ბატონები, მოადგილეები და **განყოფილებათა გამგეები...**

მწერალთან -**მეთქი** ნაწილაკის ხშირი შემთხვევებია დაფიქსირებული. საერთოდ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ნაწილაკი -**მეთქი** მიღებულია კომპოზიციის გზით: **მე + ვთქვი > მეთქი**.

-**მეთქი** აღნიშნავს მოუბარი პირის ნათქვამის გამეორებას ან განაზრახი სიტყვის თქმას (შანიძე 1980: 606). -**მეთქი** ნაწილაკი მწერალთან მომდევნო პოზიციაში გვხვდება:

რავი რაა იქნებ შინ არ არის მეთქი.

მოშიებულნი მოვლენ მეთქი.

თუ ერთი ერთში დამრჩება მეთქი.

რო დაგიძახებ უნ წამოხვიდე მეთქი და სხვა.

მოთხრობებში გვხვდება ზმისწინები როგორც ახალი, ისე ხმოვანშეცვლილი ფორმებით. ხმოვანშეცვლილი:

გვიამზე რა დეემართა?

გუშინ შამამითვალეს.

შაგეშალა ახლა.

ჩემი მზე ჩეესვენა.

მე არ შავიცვლები.

ვერ შამღებს.

სიტყვაწარმოება ქართულ სალიტერატურო ქართულში პროდუქტიულია, ასეა კახურ დიალექტშიც. ოლია ბრაგვამის პროზაში საკმარისად არის წარმოდგენილი.

-**იან** სუფიქსები გამოიყენება ქონების საწარმოებლად: ხათრიანი კაცი, ბრუტიანი ნაწლავი, მწვანელიანი საჭმელი, ათხინკლიანი თევში, ზუსტმისამართიანი ადგილი, წელკავიანი დედაბერი, წვიმიანი დღე იყო, ხორკლიანი ჭიგო და სხვა.

უ-ო აფიქსები აღნიშნავს უქონლობას: უმწვანილო საჭმელი, უსიამოვნო ამბავი, უდედმამო ბიჭი, უძილო ღამე, უჩვენოდ ვერ წახვალ...

ასევე გამოიყენება -**ოვან**, -**ოსან** მაწარმოებლები.

თხზულებებში ძირითადად დიალოგებში ხშირად იკარგვის პირველი სუბიექტური პირის ნიშანი:

შენი ნაჩუქარი დედაენა შენახული მაქ.

მეც მაქ შენახული იმი ყუთიც მაქ.

მაქ ერთი მეშოკი გადანახული.

იქნებ ნიორი კიდო გაქ.

სულ ჩამოიდა?..

მოთხრობებში გვხვდება **გამეორება** ერთი წინადადების ფარგლებში, სადაც ჩართულია სრული და არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები. ყველაზე მეტი სიხშირით მეორდება ზმნა, რომელიც წინადადების ხერხემალია და მეტი დატვირთვა აქვს ყველა სხვა წევრებთან შედარებით. მაგალითები:

ქალები ქაქანებდნენ და ქაქანებდნენ.

გეყო, როგორ არ გეყო.

ცოტაცა, ცოტაცა და გავჩუმდები.

უბან აკლდი, შე ღდიძალო, შენა...

გიოსა, ჩვენ გიოსა, მარუსას გიოსა? ეთერის ქმარ გიოსა?

მწერალს თავისი შეხედულება ჩამოუყალიბდა ეპოქაზე. როგორც თვითონ აღნიშნავს, ბევრი ტკბილ-მწარე დღე აქვს გამოვლილი და კარგად იცნობს თავისი თანამემამულეების ცხოვრებას, ყოფით საკითხებს. ეს ეხება პოლიტიკას, იდეოლოგიას, რასაც მწერალი ხშირ შემთხვევაში ირონიული სტილით გამოხატავს, იმიტომ რომ თავად ყოველთვის მამულიშვილთა პოზიციაზე იდგა და დღესაც ასეა. ჩვენი ვალია ამ მიმართულებით წარმოვაჩინოთ როგორც მწერლის, ასევე ხალხის გულისთქმა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბრაგვაძე 2011: ბრაგვაძე ო., აქეთურ-იქითური. თბილისი, 2011.

შანიძე 1920: შანიძე ა., სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. ტფილისი, 1920.

შანიძე 1980: შანიძე ა., თხზულებანი (თორმეტ ტომად), ტ. III. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, 1980.

ჯორბენაძე 1989: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია. თბილისი, 1989.

**ISSUE OF THE WRITER
LANGUAGE DIALECTICS
IN OLIA BGRAGVADZE'S PRO**

Summary

Olia Bragvadze is a famous prose writer born in Kakheti and living in Gori. From his literary work we have selected the collection „Aketuri-Ikituri“, which clearly shows the characteristic features of the Kakhetian dialect. Stories and novels are varied in content, including adventures, travels, stories, the sweet and bitter days of neighbors, including political news.

Á (Iota sound) is confirmed by the writer in various cases – in the beginning, middle and lower diphthongs of the word. The emphatic sound is well seen in different rotations, as well as in the plurals of ebiani and nartaniani, particles, word production, loss of person marks, repetitions to clarify the detail, and so on. Kakhetian dialect is one of the Kartli dialects, which formed the basis of both old and new modern literary languages. The paper presents relevant example specific to the dialect.

მაია ცერცვაძე

გრიგოლ ორბელიანის ერთი პირადი წერილი

გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილები ქართული ეპისტოლური მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც მრავალი თვალსაზრისით იქცევს მეცნიერ-მკვლევართა ინტერესს. გარდა ცალკეული პუბლიკაციებისა, რომლებიც ეთმობა ამ წერილებს, გამოცემულია მათი ორტომეული აკაკი გაწერელის რედაქციითა და შენიშვნებით (1936, 1937), რომელიც მოიცავს 1832-1859 წლების პირად წერილებს, ასევე წერილების 9 ტომი (1878 წლამდე წერილების ჩათვლით) სამეცნიერო პროექტის: „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“ ფარგლებში (რედაქტორები: პროფ. ქეთევან გიგაშვილი, პროფ. მაია ნინიძე).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ახალ აკადემიურ ორტომეულზე მუშაობისას, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში (FR-23-10216) სრულდება, საქართველოს ეროვნულ არქივში ჩვენი ყურადღება მიიპყრო გრიგოლ ორბელიანის 1842 წლის 1 აგვისტოს ერთმა პირადმა წერილმა (სეა, ფონდი №481, ანაწერი 2, საქმე №364, გვ. 32-33), რომელიც, სამწუხაროდ, არ არის შეტანილი

გრიგოლ ორბელიანის წერილების ზემოთ დასახელებულ ტომეულებში. მის შესახებ ჩანაწერს ვერ ვხვდებით ვერც გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ციფრულ მატრიანში (<https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/327865>).

არსებობს ამ წერილის ლეილა ნანიტაშვილისეული პუბლიკაცია „გრიგოლ ორბელიანის უცნობი წერილები“, დაბეჭდილი ჟურნალ „მნათობის“ 1966 წლის №11-ში (გვ. 177-178), რომელსაც ახლავს მხოლოდ წერილში დასახელებულ პირთა მოკლე განმარტებები. წერილის მცირე ფრაგმენტი მოხმობილია მკვლევარ იაკობ ბალახაშვილის წიგნში „ბარათაშვილის ცხოვრება“ (1967).

წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის შუათანა ძმა ზაქარია ორბელიანი და ის გაგზავნილია ალექსანდროპოლიდან, სავარაუდოდ, დაღესტანში, ყოფილ სამურის ოლქში, სადაც იმ დროს მსახურობდა ზაქარია. იგი მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში, ისევე როგორც სხვა იმდროინდელ თავის წერილებში (იხ. 1842 წლის 20 მაისის, 11 ივნისის, 4 ივლისის წერილები ზაქარია ორბელიანისადმი...), ადრესანტი ოჯახისა და ქალაქის ამბებთან ერთად ყურადღებას უთმობს უმცროსი ძმის, იმჟამად შამილის ტყვეობაში მყოფი ილია ორბელიანის, ბედს. ბარათში ნახსენებია ნიკოლოზ ბარათაშვილიც და ამდენადაც ძვირფასია ის ჩვენთვის.

წერილის ბოლოს მიწერილია თარიღი: „1-ს აგვისტოს“; წელი აღნიშნული არ არის, თუმცა მისი შინაარსის მიხედვით დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ იგი დაწერილია 1842 წელს – ილია ორბელიანი შამილის მეომრებმა ტყვედ 1842 წლის 22 მარტს აიყვანეს და ტყვეობაში მან დაახლოებით რვა თვე დაჰყო.

ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ ამ წერილის კიდევ ერთ პუბლიკაციას უფრო ვრცელი კომენტარებითა და შენიშვნებით. მისი სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია თითქმის უცვლელადაა დატოვებული.

გრიგოლ ორბელიანის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი¹

უსაყვარლესო ძმავ ჩემო ზაქარიავ! ამ წიგნსა გწერ და არვიცი მანდ მოგისწროფს, თუ არა, რადგანაც აქ შევიტყე, რომ შენ ოტპუსკში² მოგელიან ქალაქსა; მაგრამ მაინც გწერ და აი, მიზეზი: – ერთმა ჩვენმა აფიცერმა, ვალხოვსკიმ,³ მომწერა, რომ მითომ სნაქსაროვი⁴ (ხაზგასმულია - მ. ც.) გამოქცეულიყოს, და მასუკან ილიაცა,⁵ მაგრამ საბრალო ჩვენი ძმა კიდეც დაუჭერიათ. შენ იფიქრე, თუ ეს მართალია, რა ტანჯვას მიაყენებენ, სინაქსაროვის ჯავრსა სულ მაგაზე ამოიყრიან. ღ~ო, ეს რა უბედურებაა! შენიჭირიმე მომწერე დაწერილებით ამის გარემოება, ნურას დამიმალავ თუ იცოდე რამე. -

ქალაქში სამი თუ ოთხი დღე დავრჩი აქ წამოსვლა-ზე⁶ და აი, შენი სახლის ამბავი: პრიკაზში⁷ შევიტყე, რომ მოუთხოვიათ საქმეები შანშიევსა,⁸ ჩვენ რომ მივართვით არზა და პრიკაზსაც კარგად წარუდგენია, ახლა ვნახოთ რა გამოვა. – მე არ ვიცოდი ილიას დოვერონოსტი⁹ ვისა ჰქონდა ან სად იყო, რომ იმის ძალით ფული ამელო და შემეტანა პრიკაზში. – ახლა თუ მალე არ მოხვალ, ძალუას¹⁰ მოსწერე და გამოუგზავნე დოვერონოსტი, ან ჩვენ დისწულს ტატოს.¹¹ მე ჩემი წილი სამის თვისა შემომეხარჯა აქ წამოსვლაზე; მაგრამ ნუ გეშინია ფული მზადა მაქუს პარკში (ხაზგასმულია - მ. ც.), მერწმუნე მართალს გეუბნები, პარკში ძევს – რას წამს მოხვალ ქალაქში მაშინვე მოგივა მზად ზედ დამატებით, და ან თუ გინდა პირდაპირ გავგზავნი პრიკაზში, როგორც მომწერ. -

ჩემი მოსავალი ძალიან კარგათ არის ღ~ითით – გაურახიდაშიც¹² მამუკასაგან¹³ ნაჩუქები ყანა ამოუტანიათ კოდაზედ.¹⁴ მგონია ბევრი უნდა მოგვივიდეს წლეულსა. -

შენი პოდპოლკოვნიკობა რა გასაკვირველია იმისთვის ვისაც მაიორის ეპოლეტები მხარზე ჰკიდია, და სტანისლავა ყელზედ,¹⁵ - სტოლის ფულსა ალბათ რომ მომცემენ მაშინ მერწმუნე, უკმავეუგინებლად მოგივა 150 რუბ. წელიწადში. აქამდისინაც მოხდებოდა ესა, თუ რომ შენ ხელი გაგემართა ჩემთვის, და ეს მამადლი ფოხტეგმაზა¹⁶ (ხაზგასმულია -

მ. ც.) მოგეშორებინა ჩემგან. ამასწინათ ოთხი თუმანი წაიღო, მაგრამ ამდენი ვაგინე, რომ ის ეყოფოდა სარგებლად.

როცა შინ მიხვიდე, შენი ულაცი ცხენი აქ გამომიგზავნე შესანახავად. იფიქრე, ახლა რომ ძვირობაა, აქ სა[კ]მარი ქერი, ესე იგი ორ ჩეთურტზე მეტი იყიდება ექუს აბაზად, და ამას იქით უფრო გაიფდება ახალს მოსავალზე. შინაც ეკონომია დარჩება, და შენი ცხენიც კარგათ გასუქებული და მოვლილი იქნება. – რას იტყვი ამაზე. –

აქ ცოტა ხელი გავმართე: ყულფიდან¹⁷ ურმები მოდის ჩვენს მამულზედ, შვიდიოდრვა თუმანი ავკარ. მეტი ვერა – ვერ მოვუსწარ კარგს დროს – ქარავანი დაბრუნებულოცო, თორემ გავკეთდებოდი. – გერგერთან¹⁸ ორს სოფელში ჭირი გამოჩნდა, მაგრამ ღთით კარგის მოვლით სხუაგან არსად არის, და იქაც მალე განქრება. –

ახლა ქალაქის ანბავი მოგახსენო: გოლოვინის¹⁹ ცოლი²⁰ თავის ქალით ბორჯომის წყალზე არის, იქაც სკალონის²¹ ცოლი და ბუირონისა;²² ეგრეთვე ნინა,²³ მანანა²⁴ და ელენე²⁵ – ამათ ფერდები სტკივათ და კიდევ რაღაცა. ჰაი ერთი კაი მუგუზალი ამ კახპებსა²⁶ – ზაქარიაჲ! აქაურობა სულ გადა***ა ლადინსკიმ, ²⁷ ასე ამბობს მელიტონ!²⁸ – სხვა რაღა მოგწერო. არა ვიცი რა ამაზე მეტი. – რაღა გეხვეწო, რომ ილიას ამბავი წვრილად მომწერო.

შენი გრიგოლ ორბელიანი.

1^ბ აგვისტოს,

ალექსანდრაპოლით ²⁹ (ხაზგასმულია – მ. ც.).

სქოლიო

¹ **ზაქარია ორბელიანი** – ზაქარია დიმიტრის (ზურაბის) ძე ორბელიანი (1806-1847), გრიგოლ ორბელიანის ძმა, პოლკოვნიკი. სამხედრო სამსახური დაიწყო ცხენოსანი არტილერიის №8 როტაში, 1826 წელს იმავე არტილერიის ლეიბგვარდიაში გადაიყვანეს. 1828 წელს მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში, 1831 წელს იბრძოდა პოლონეთში. 1833 წლიდან კავკასიის გრენადერთა ბრიგადის პირველ

ბატარეაშია, 1839 წელს ებრძოდა კავკასიელ მთიელებს, 1841 წელს მსახურობდა ჩრდილოეთ დაღესტანში, 1842 წელს გადაიყვანეს ყოფილ სამურის ოლქში. 1835 წელს მიიღო პორუჩიკის, 1838 წელს შტაბს-კაპიტნის, 1844 წელს – პოლკოვნიკის წოდება. 1846 წელს დაინიშნა აფშერონის პოლკის მეთაურად. დაჯილდოებული იყო წმ. ანას მე-4 ხარისხის და წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენებით. ზაქარია ორბელიანს უყვარდა ნინო ჭავჭავაძე (1812-1857), რომლის ტრფობა ქორწინების შემდეგაც არ განელეზბია. 1835 წლის 10 თებერვალს ნ. ბარათაშვილის მშობლების – ეფემიასა და მელიტონის რჩევითა და მეცადინეობით იქორწინა ანჩისხატის დეკანოზის, აზნაურ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის (1778-1862) ასულზე, ქეთევანზე (1818-1895). 1836 წელს ზაქარია ორბელიანს შეეძინა ვაჟი. «У меня родился сын, коего предполагаю назвать Дмитрием при крещении... Черты лица его очень хороши» – სწერდა გახარებული მამა თავის ძმას გრიგოლს 1836 წლის 15 ოქტომბერს (ბალახაშვილი 1967: 21). მის პირმშოს დიმიტრის (1836-1837) დიდხანს არ უვოცხლია. ზაქარია ორბელიანი გარდაიცვალა 1847 წლის 11 ივნისს ქოლერით დაღესტნის სოფელ ხოჯალმალქში. დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში. მას დარჩა ერთი ვაჟი ალექსანდრე (სანდრიკო) (1839-1856). ზაქარია ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების ადრესატი და ფიგურანტიცაა.

² **ოტპუსკში** (რუს. Отпуск) – შვებულება.

³ **ვოლხოვსკი** – წერილის პირველ, ჟურნალ „მნათობის“ კუბლიკაციაში ეს პირი განმარტებულია შემდეგნაირად: „ვ. დ. ვოლხოვსკი, რუსი გენერალი, კავკასიის ომების მონაწილე, რომლის ბინაზეც თბილისში თავს იყრიდნენ თბილისში გადმოსახლებული დეკაბრისტები“ (იხ. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/18307/1/Mnatobi_1966_N11.pdf). ვერ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას, რადგან კავკასიური ომების მონაწილე, გენერალ-მაიორი ვლადიმირ დმიტრის ძე ვოლხოვსკი (1798-1841) წერილის დაწერის დროისთვის ცოცხალი აღარ არის – ის 1941 წლის 7(19) მარტს გარდაიცვალა. აქ ნახსენები „აფიცერი ვოლხოვსკი“ სხვა სამხედრო პირი უნდა იყოს.

⁴ **სნაქსაროვი** – სნაქსარევი ანტონ ივანეს ძე, პოდპოლკოვნიკი, წმ. გიორგის ორდენის კავალერი (17 დეკემბერი, 1844). ტყვედ ჩაუვარდა იმამ შამილს 1842 წლის მარტში ილია ორბელიანთან ერთად. თავის თხზულებაში ი. ორბელიანი მას სამურის ოლქის უფროსად მოიხსენიებს. ტყვეობას გაქცევით დააღწია თავი.

⁵ **ილიაცა** – ილია ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანი (1815-1853), გენერალ-მაიორი, გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, ნ. ბარათაშვილის ბიძა (დედის ძმა), თანშეზრდილი და თანაგიმნაზიელი. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში. 1842 წელს რვა თვე ტყვედ ჰყავდა შამილს. ამ ტყვეობამ, რომლის დროსაც მან განსაცვიფრებელი სიმტკიცე გამოიჩინა, შთააგონა ნ. ბარათაშვილს თავისი შედევრის „მერანის“ დაწერა. ილია ორბელიანმა თავისი ტყვეობა აღწერა სათავგადასავლო თხზულებაში „რვა თვე შამილის ტყვეობაში“, რომლის დედნისეული სათაურია: «Восемь месяцев из моей жизни. Рассказ офицера бывшего в плену у Шамиля в 1842 году, 22 марта». პირველად ის მცირეოდენი შემოკლებით 1849 წელს გაზეთში «Кавказ» (№1-5) დაიბეჭდა. 1841 წლის შემოდგომაზე დუელი ჰქონდა თავის დისშვილთან, ნ. ბარათაშვილთან, რომელიც სეკუნდანტთა მეცადინეობითა და წყალობით მშვიდობითა და პოეტის ცნობილი ხუმრობით დამთავრდა (ჩხეიძე 2011: 11-16). 1846 წელს ი. ორბელიანი განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლად ელიზავეტპოლის (განჯა) მაზრაში გადაიყვანეს. მას იქ საშუალება მიეცა ერთი წლის წინ გარდაცვლილი და განჯის ციხის რუსული ეკლესიის გალავანში დაკრძალული თავისი დისწულის ნ. ბარათაშვილის საფლავისათვის ქვა დაედო. ი. ორბელიანი იყო გრენადერთა პოლკის უფროსი, მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში, სადაც სასიკვდილოდ დაიჭრა ბაშკადიკლარის ბრძოლაში. 1852 წელს ილია ორბელიანმა იქორწინა ბარბარე ილიას ასულ ბატონიშვილზე (1831-1884). ცოლ-ქმარს ეყოლა ტყუპი ვაჟი, რომელთაგან ერთი დიმიტრი მაშინვე გარდაიცვალა და ცოტა ხნით ადრე დაღუპულ მამასთან ერთად დაკრძალეს ქაშვეთის ტაძარში. ილია

ორბელიანს დარჩა შვილი გიორგი ორბელიანი (1853-1924), შემდგომში გენერალ-მაიორი, განჯიდან ნ. ბარათაშვილის ნემტის ჩამოსვენების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

⁶ იგულისხმება გრიგოლ ორბელიანის გამგზავრება ალექსანდროპოლში. იმავე წლის 11 ივნისის წერილში ის ზაქარიას სწერდა, რომ მეორე დღეს აპირებდა გამგზავრებას ალექსანდროპოლში, სადაც უნდა მიეღო თავისი პოლკის მესამე ბატალიონი.

⁷ **პრიკაზში** (რუს. Приказ) – საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულების სახელწოდება მე-19 საუკუნის საქართველოში.

⁸ **შანშიევსა** – გრიგოლ იოსების ძე შანშიაშვილი (შანშიევი) (? - 1894), სამოქალაქო მრჩეველი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის თანამშრომელი (1880-იანი წწ.). ექვთიმე თაყაიშვილის მიერ იხსენიება გრიგოლ ორბელიანის ძმისშვილის, გიორგი ორბელიანის ვეჟილად.

⁹ **დოვერონოსტი** (რუს. Доверенность) – მინდობილობა.

¹⁰ **ძალუას** – უნდა იგულისხმებოდეს ზაქარია ორბელიანის მეუღლე ქეთევან დიმიტრის ასული ალექსი-მესხიშვილი (1818-1895). გრიგოლ ორბელიანი თავის რძლებს ძალუას უწოდებდა.

¹¹ **ტატოს** – ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი (1817-1845), დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტი, გრიგოლ ორბელიანის დის ეფემიას (1801-1849) ვაჟიშვილი. ტატოს მას შინაურობაში ეძახდნენ.

¹² **გაურახიდაშიც** – გაურახი სოფელია ბორჩალოს მაზრაში.

¹³ **მამუკასაგან** – მამუკა (მაკარ) თამაზის (თომას) ძე ორბელიანი (1800-1871), თავადი, გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულებისა და კავკასიური, რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთის (1828-1829) და ყირიმის ომების (1853-1856) მონაწილე, ცნობილი მოჯირითე და სახელგანთქმული ვაჟკაცი. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. სამსახური დაიწყო 1816 წელს მე-13 ლეიბ გრენადერთა ერევნის კარაბინერთა პოლკში. 1829 წელს მონაწილეობდა მილიციაში გაწვევის წინააღმდეგობაში, რისთვისაც პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ

გამართლეს. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გამწესებულ იქნა პირველ მოლოროსიულ ყაზახთა პოლკში მაიორად. მამუკა ორბელიანმა უნებურად სახედისწერო როლი შეასრულა ნ. ბარათაშვილის ცხოვრებაში. 1844 წლის 21 დეკემბერს ის დაინიშნა ელიზავეტპოლის (უძველესი ქალაქი განჯა) მაზრის უფროსად და თავის თანაშემწედ მიიწვია პოეტი. ნ. ბარათაშვილმა იქ გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი თვეები. მამუკა ორბელიანს ცოლად ჰყავდა თავად გიორგი ერისთვის („სენატორის“) (1760-1863) და გაიანე ბატონიშვილის (1780-1820) ასული ქეთევანი (1808-1897). მისი ქალიშვილი ალექსანდრა (1835-1914) გათხოვილი იყო ლევან მელიქიშვილზე (1818-1892), ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელსა და უახლოეს მეგობარზე. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში. მამუკა ორბელიანი ბარათაშვილოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიება მის ნათესავად, რაც სიმართლეს არ შეეფერება. გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ იგი, მართალია, პოეტის დედის მოგვარე და ორბელიანთა სათავადო სახლის წარმომადგენელია, მაგრამ ამ სათავადოს იმდენად დაშორებულ შტოს ეკუთვნის, რომ ნ. ბარათაშვილის ნათესავად ვერ ჩაითვლება.

¹⁴ **კოდაზედ** – კოდა სოფელია საქართველოში, ქვემო ქართლის ვაკეზე, მდინარე ალგეთის მარცხენა მხარეს (ამჟამინდელი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი).

¹⁵ **შენი პოდპოლკოვნიკობა რა გასაკვირველია იმისთვის, ვისაც მაიორის ეპოლეტები მხარზე ჰკიდია, და სტანისლავა ყელზედ** – 1840 წლის 25 ივნისს მიურიდების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის გრიგოლ ორბელიანმა მაიორის წოდება მიიღო, ხოლო 1842 წლის 8 მაისს ნაურის ექსპედიციაში გამოჩენილი მამაცობისთვის ის წმინდა სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა (გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთან – <https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/327865>). კავკასიელ მთიელებსა და რუს ოფიცრებს შორის გამაგრებულ სამხრეთ დაღესტნის სოფელ რიჭასთან (ამჟამად შედის ალულის რაიონში) 1842 წლის 1 მაისს გამართული ცნობილი შეტაკების შემდეგ, როცა მათ

სასტიკად დაამარცხეს შამილის მიურიდები და რომელშიც მონაწილეობდა ზაქარია ორბელიანი. ამ დამსახურებისთვის მას პოდპოლკოვნიკობა და წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი უბოძეს.

¹⁶ **ფოხტეგმაზა** – პირის ვინაობა ვერ დავადგინეთ, ტექსტის მიხედვით ორბელიანთა ოჯახის ნაცნობი უნდა იყოს, რომელიც მათ გარიგებებსა თუ მეურნეობაში მონაწილეობდა.

¹⁷ **ყულფიდამ** – ყულფი სოფელია სომხეთში, ერევნის გზაზე.

¹⁸ **გერგერთან** – გერგერი (პერპერი), სოფელი და მდინარე სომხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მაშინდელ ალექსანდროპოლის მაზრაში, ვაიცემორის პროვინციაში.

¹⁹ **გოლოვინი** – ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი (1782-1858), ინფანტერიის გენერალი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ადიუტანტი, 1837-1842 წლებში საქართველოს მთავარმართებელი და კავკასიის განცალკევებული კორპუსის მეთაური. 1918 წლამდე მისი სახელი ეწოდებოდა თბილისის მთავარ ქუჩას, ამჟამინდელ რუსთაველის პროსპექტს.

²⁰ **ცოლი** – ევგენი გოლოვინი დაქორწინებული იყო ელიზავეტა ფონვიზინაზე (1792-18?), სენატორის, მოსკოვის უნივერსიტეტის დირექტორის, ლიტერატორ პავლე ივანეს ძე ფონვიზინის (1746-1803) ქალიშვილზე. ელიზავეტა ფონვიზინას უცდია თბილისში ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების დაარსება. მას ახლომეგობრული ურთიერთობა ქართველ არისტოკრატ ქალებთან. „...იმ სოფლის ახლოს, სადაც მეგავატარე 10 დღე, იწყება ბორჯომის ხეობა, რომელიც განთქმულია მინერალური წყლებით. ამ წყლებით ისარგებლეს გოლოვინმა თავის ოჯახით, ნინო ალექსანდრეს ასულმა გრიბოედოვმა, თავადის ქალმა მანანამ თავისი ქალიშვილით, ელენე ერისთავმა. მე მინდოდა ვსტუმრებოდი მათ ერთი-ორი დღით, მაგრამ ისინი ცხოვრობდნენ თითქმის კარვებში“ – ლიტერატორისა და ჟურნალისტის ზაქარია ფალავანდიშვილის (1818- 145) 1842 წლის 26 ოქტომბრის წერილიდან გიორგი (იური) ახვერდოვისადმი (1818-1861) (ბალახაშვილი 1966: 226-227);

„ქალაქის ამბავი აქ არავიცირა, მხოლოდ ამის მეტი, რომ მინისტრი (იგულისხმება რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი ა. ი. ჩერნიშოვი - მ. ც.) მობრძანდა, და უნდა ბალები ყოფილიყო: ერთი ღოღოვინისას, და მეორე კეთილშობილებისაგან ბაღში მთავარმართებლისას“ - გრ. ორბელიანის 1842 წლის 4 ივლისის წერილიდან ზაქარია ორბელიანისადმი (ორბელიანი 1936: 61). ჩანაწერი ცნობილი გერმანელი მოგზაურის, გეოგრაფისა და ბუნებისმეტყველის მორიც ვაგნერისა, რომელიც 1843-1846 წლებში იმყოფებოდა შავიზღვისპირა ქვეყნებში, კავკასიაში, ქურთისტანსა და სპარსეთში, გვამცნობს: „ფუფუნების მოყვარე გოლოვინის მთავარმართებლობისას, რომელიც განსაკუთრებით კეთილად იყო განწყობილი გართობის, თანაზიარობისა და ქალებისადმი, ყოველწლიურად იზრდებოდა მდებდრობითი სტუმრების რიცხვი სადამოებსა და ბალებზე. აქ შესაძლებელი იყო პირბადის გარეშე ხილვა თავადური ანდა აზნაურული 115 წარმოშობის მშვენიერი ქართველი და სომეხი მანდილოსნების უმეტესობისა. მათი ერთი ნაწილი ფრანგულ კოსტიუმში იყო გამოწყობილი“ (ვაგნერი 2002: 37-38).

²¹ **სკალონის** – რუსი ჩინოვნიკი ან სამხედრო პირი უნდა იყოს.

²² **ბუირონისა** – რუსი ჩინოვნიკი ან სამხედრო პირი უნდა იყოს.

²³ **ნინო** – ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (1812-1857), პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის უფროსი ასული, ცნობილი რუსი დიპლომატისა და მწერლის ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვის (1795-1829) მეუღლე, გრიგოლ ორბელიანის პოეტური მუზა და ლექსების ადრესატი. გამოირჩეოდა განსწავლულობით, დახვეწილობითა და კეთილშობილებით. ნინო ჭავჭავაძემ და ალექსანდრე გრიბოედოვმა ჯვარი თბილისში, სიონის ტაძარში 1828 წლის 22 აგვისტოს დაიწერეს. დაქვრივების შემდეგ აღარ გათხოვილა. გარდაიცვალა თბილისში ქოლერით. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მეუღლის გვერდით.

²⁴ **მანანა** – მანანა მირმანოვის ასული ერისთავი-ორბელიანისა (1807-1870), თავად დავით იოანეს ძე

ორბელიანის (1801-1830) მეუღლე, სილამაზითა და ჭკუით განთქმული ქალი, რომელსაც ქართველ „მადამ რეკამიეს“ უწოდებდნენ. ჰქონდა ლიტერატურული სალონი. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის მიჩნეულ იქნა მე-4 კატეგორიის დამნაშავედ – ისეთ პირად, ვინც იცოდა შეთქმულების ამბავი, მაგრამ არ ეთანხმებოდა მას. ის გაათავისუფლეს პასუხისგებისაგან, თუმცა დაუწყეს სასტიკი მეთვალყურეობა. დაკრძალულია სოფელ კუმისის წმ. სამების ტაძარში. ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გრ. ორბელიანთან და ნ. ბარათაშვილთან. არის ამ უკანასკნელის პირადი წერილების ფიგურანტი.

²⁵ **ელენე** – ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანი (1815-1888), მეტსახელად „ცაკალო“, 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, ლუარსაბ (იოველ) იოანეს ძე ორბელიანის (1793-1834) ქალიშვილი, მანანა ორბელიანის მახლიშვილი. 1836 წელს ცოლად გაჰყვა გენერალ გიორგი იესეს ძე ერისთავის („სენატორის“ – 1760-1863) ვაჟს ზაქარიას (1814-1850). დაქვრივებული ცხოვრობდა თბილისში, ორბელიანების უბანში, ატლანტებიან სახლში, სასტუმრო „გრანდ ოტელის“ გვერდით, ამჟამინდელი გ. ათონელის №31 ნომერში. შვილი არ დარჩენია (დაწვრილებით ელენე ორბელიანის შესახებ იხ.: ფოფხაძე 2007, №10: 37-47; №11: 29-360).

²⁶ უძვირფასესი სატრფოს ნინო ჭავჭავაძის სხვა ნათესავ ქალებთან ერთად ასე უდიერად მოხსენიება გრიგოლ ორბელიანის სხვა წერილებშიც გვხვდება, რაც, ვფიქრობთ, მისი, როგორც უარყოფილი მამაკაცის, შელახული თავმოყვარეობით აიხსნება.

²⁷ **ლადინსკი** – პიოტრ ანტონის ძე ლადინსკი (1784-1865), რუსი ოფიცერი, გენერალ-ლეიტენანტი, ამიერკავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი (1845-1847). 1842 წელს თან ახლდა სამხედრო მინისტრს გრაფ ალექსანდრ ივანის ძე ჩერნიშოვს (1785-1857) რუსეთის იმპერიის ამიერკავკასიის სამფლობელოების მონახულებისას.

²⁸ **მელიტონ** – მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი (1795-1860), თავადი, გრიგოლ ორბელიანის სიძე – მისი დის ეფემიას მეუღლე და პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა. მამამისი ნიკოლოზი (?-1803 წლის შემდეგ) დაახლოებული

პირი იყო ერეკლე II-ისა (1720-1798) და გიორგი XII-ის (1746-1800) კარზე. ის მეორე კაცად ირიცხებოდა იმ თერთმეტკაციან ამაღაში, რომელიც 1803 წელს რუსეთში, ბელგოროდში გადასახლებულ მარიამ დედოფალს (1768-1850) გააყოლეს. ნიკოლოზს თან ახლდნენ ოჯახის წევრები, მათ შორის მელიტონიც. რუსეთში მას ჩინებულად შეუსწავლია რუსული ენა. ქართულის გარდა სცოდნია ასევე სომხური და თურქული ენები (ინგოროყვა 1969: 21-22). სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მელიტონმა დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. 1810 წლიდან ცამეტი წლის მანძილზე მუშაობდა თარჯიმნად საქართველოს მთავარმართებლის ალექსანდრ ტორმასოვის (1752-1819) კანცელარიაში. 1811 წელს, როცა ტორმასოვს ახლდა ახალციხის ექსპედიციაში, მას პრაპორშჩიკის ჩინი ებოძა. 1812-1813 წლებში თარჯიმნად ახლდა მაშინდელ მთავარმართებელს მარკიზ ფილიპ პაულუჩის (1779-1849) კახეთის აჯანყების საწინააღმდეგო ექსპედიციაში, მიუღია მონაწილეობა ბრძოლებშიც. მელიტონი მხლებლად გააყოლეს აჯანყებაში მონაწილეობისათვის პეტერბურგში გადასახლებულ გრიგოლ ბატონიშვილს (1789-1830). 1813 წელს მან მიიღო პოდპორუჩიკის, 1816 წელს – პორუჩიკის, ხოლო 1822 წელს –კაპიტნის ჩინი. 1824 წელს დაინიშნა ქალაქ ელიზავეტპოლის (განჯის) პოლიცმეისტერად, ორი წლის შემდეგ კი – ელიზავეტპოლის (განჯის) ოლქის (ყოფილი განჯის სახანოს) უფროსად. ამ თანამდებობაზე ის 1827 წლის 19 ოქტომბრამდე მუშაობდა. 1829-1832 წლებში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ქართული მილიციის ორგანიზებაში, ლეკებზე ლაშქრობაში. 1832 წელს უბოძეს მაიორობა და დაუნიშნეს პენსია. 1832 წლის 17 დეკემბერს მელიტონი აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშლად 1833-1835 წლების პერიოდისათვის, 1835 წლის 27 დეკემბერს ამ თანამდებობაზე ხელახლა აირჩიეს, იმავდროულად ის არჩეულიქანადმოსავლეთსაქართველოსთავადაზნაურობის მარშლის პირველ მოადგილედ (ჩხეტია 1945: 144-180; ინგოროყვა 1969: 19-25). მელიტონი განათლებული კაცი იყო, კარგი მოქართულე და მცოდნე ქართული ლიტერატურისა,

მჭევრმეტყველი, კეთილი, მეტად სტუმართმოყვარე და გულუხვი. გამოირჩეოდა სიფიცხითა და გულზვიადობით. ეფემია ზურაბის (დიმიტრის) ასულ ორბელიანზე (1801-1849) მან ჯვარი 1816 წელს დაიწერა. ცოლ-ქმარს ეყოლა 16 შვილი, რომელთაგან სრულწლოვანებას მხოლოდ ხუთმა (ნიკოლოზი, ეკატერინე, ბარბარე, ნინო და სოფიო) მიაღწია. ხელგაშლილმა ცხოვრების წესმა და ხშირმა ავადმყოფობამ მელიტონი გააღარიბა და ვალებში ჩააგდო. 1835 წლის იანვარიდან ის დიდი ხნით ლოგინს მიეჯაჭვა, რამაც ოჯახის მატერიალური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა და ხელი შეუშალა იმხანად გიმნაზიადმთავრებულ მის ვაჟს ნიკოლოზს სწავლა იმპერიის რომელსამე უნივერსიტეტში გაეგრძელებინა. მელიტონი მთავრობისადმი ლოიალურად ყოფილა განწყობილი, 1832 წლის შეთქმულებაში არ მონაწილეობდა. მას თავზარი დასცა და სიცოცხლე გაუმწარა ვაჟიშვილის უდროო სიკვდილმა, სრულ სიღატაკში აღმოჩნდა და მთავრობას დახმარებას სთხოვდა ხოლმე. გარდაიცვალა სოფელ ოსიაურში (ამჟამინდელი ხაშურის მუნიციპალიტეტი), სადაც ის, იმხანად უკვე ქვრივი, თავის გათხოვილ ქალიშვილს ბარბარე ვეზირიშვილისას (1826-1919) სტუმრობდა. დაკრძალულია იქვე.

²⁹ **ალექსანდრაპოლი** – ალექსანდროპოლი, სომხეთის ქალაქ გიუმრის (ლენინაკანის) სახელი 1840-1924 წლებში.

გამოყენებული ლიტერატურა

ბალახაშვილი 1966: ბალახაშვილი ი., გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე, 1966.

ბალახაშვილი 1967: ბალახაშვილი ი., ბარათაშვილის ცხოვრება, 1967. „ლიტერატურა და ხელოვნება“.

ჩხეიძე 2011: ჩხეიძე რ., ქართული დუელიანა, 2011.

გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიაწე. <https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/327865>).

ორბელიანი 1936: ორბელიანი გრ., წერილები, 1936.

ვაგნერი 2002: ვაგნერი მ., საქართველოს შესახებ, 2002.

ფოფხაძე 2007: ფოფხაძე მ., ელენე ორბელიანი-ერისთავისა. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2007, №№10-11.

ინგოროყვა 1969: ინგოროყვა პ., ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1969.

ჩხეტია 1945: ჩხეტია ნ., ნიკოლოზ ბარათაშვილი, ტ. 1. 1945.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/18307/1/Mnatobi_1966_N11.pdf).

Maia Tsertsvadze

ONE PERSONAL LETTER OF GRIGOL ORBELIANI

Summary

The personal letters of Grigol Orbeliani are the most important part of the Georgian epistolary heritage, which is of interest to scientists and researchers in many ways. In addition to separate publications devoted to these letters, two-volume of letters of 1832-1859 have been published by Akaki Gatsrelia, as well as 9 volumes of letters (up to 1878) have been edited within the scientific project “Academic edition of the epistolary heritage of Georgian writers of the XIX-XX centuries” (by Prof. Ketevan Gigashvili, Prof. Maya Ninidze, 2011-2023).

While working on Nikoloz Baratashvili’s new academic two-volume work, in the National Archives of Georgia our attention was drawn to a personal letter of Grigol Orbeliani dated August 1, 1842 which, unfortunately, is not included in the aforementioned editions of Grigol Orbeliani’s letters. We cannot find a record about this letter even in the digital chronicle of Grigol Orbeliani’s life and work.

There is a publication of this letter by Leila Nanitashvili, “Unknown Letters of Grigol Orbeliani”, printed in “Mnatobi” magazine

#11 of 1966, accompanied only by the short explanations of the persons named in the letter. A small fragment of the letter is included in the book “The Life of Baratashvili” by Jacob Balakhashvili (1967).

The letter was sent on August 1, 1942. from Alexandropol and its addressee is Grigol Orbeliani’s brother Zakaria Orbeliani. The letter is important because in it, as well as in other letters of that time, the addressee pays the main attention to the story and fate of his younger brother, Ilya Orbeliani, who was imprisoned by Shamil at that time. Nikoloz Baratashvili is also mentioned in the letter, so it is so dear to us.

We offer to the readers of the magazine new publication of this letter with more extensive comments and notes. Its style, orthography and punctuation are left almost unchanged.

მარინე ხვედელიძე

**ინტერბექსტი
აპა მორჩილაძის მოთხრობაში
„როგორ მოკვდა ვარსკენ პიტიახში“**

მწერლობა მხატვრული სიტყვის მეშვეობით ასახავს სამყაროს, ადამიანთა ყოფას, რომელთაც ყოველი ეპოქა თავისებურად გაიაზრებს და აღიქვამს. ხშირად ასახული პერსონაჟები არ იცვლებიან, მაგრამ მათდამი დამოკიდებულება და ხედვის კუთხე კი შეცვლილია. ეს განპირობებულია, ზოგადად, მწერლობის მიზანდასახულობის მარადიულობით, მასში დრო პირობითობაა. ხშირად შორეული წარსულის ძეგლი, საუკუნეების დაშორების მიუხედავად, ინსპირაცია, პირველწყარო ხდება ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად. ბუნებრივია, აქ არ არის საუბარი სიტყვასიტყვით განმეორებაზე, სხვათა ნააზრევის მისაკუთრებაზე, ეს გახლავთ შორეული კულტურული მემკვიდრეობის ახლებური წაკითხვა. მკვლევარი მ.კვაჭანტირაძე აღნიშნავდა, რომ გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი გადაძახილი არსებობს ტექსტებს შორის. ტექსტის მეხსიერების გაფართოება სხვა ნაწერთა მეშვეობით აქტიური ურთიერთალიარების საფუძველზე ხორციელდება. მეხსიერების გაფართოება და ბაძვა

არსებითად განსხვავებული ცნებებია. შესაძლებელია თემა, მიმართულება, რაიმე დეტალი ვინმესგან აიღო, მაგრამ მასში შენეული, განსხვავებული და ახლებური უნდა ჩაიდოს.

ადამიანები ვეცნობით სხვათა შემოქმედებას. დიდი მწერლები, ხელოვანები მთელი სიმძაფრითა და ემოციით ამყარებენ სულიერ გადაძახილს ლიტერატურულ პერსონაჟებთან, მათ ლამის რეალურ მეგობრებად წარმოიდგენენ და მათ შორის იბმება უხილავი კავშირი. ასე შემოიჭრება მათ ცნობიერებაში და მკვიდრდება წინამორბედთა თემა, იდეა, სტილი, მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმები. ორგანული კავშირი ბუნებრივად, ზოგჯერ სრულიად გაუცნობიერებლადც მყარდება. აღნიშნულის დასადასტურებლად ნათელი მაგალითია გურამ რჩეულიშვილის ჩანაწერი, სადაც ახალგაზრდა მწერალი სუბიექტურ დამოკიდებულებას გვაცნობს რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის რომანის „ანა კარენინას“ მთავარი გმირის მიმართ: „მე მიყვარდა ანა კარენინა, მან რამდენიმე ღამე გაათია ჩემ გვერდზე საწოლში და წავიდა ისეთივე უმწიკვლო, როგორიც მოვიდა. ჩვენ ძალიან ვგავდით ერთმანეთს იმისათვის, რომ დიდ ხანს ვყოფილიყავით ერთად“ (რჩეულიშვილი 2002: 13). ამ სიტყვებში ნათლად ჩანს დიდი შემოქმედის არა წარმოსახვითი, არამედ ხორცშესხმული სიახლოვე ლიტერატურულ პერსონაჟთან. „დიდხანს ერთად ყოფნა“ და სულიერი ერთობა, ბუნებრივია, უკვალოდ ვერ გაქრება. ასე მყარდება ტექსტებს შორის კავშირი.

„ხელოვნების სარკეში ნებისმიერი ვარიაციით არეკვლას კი, უპირველესად, ხელს უწყობს და ამრავალფეროვნებს ინტერტექსტუალობა, რომელიც ხან ხილულია (იოლად შესამჩნევ-აღსაქმელ-გასააზრებელი), ხან კი – ფარული და, შესაბამისად, ძნელად გამოსაცნობი“ (ჯალიაშვილი 2014).

მხატვრულ ნაწარმოებთა შესასწავლად ბოლო პერიოდში მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ინტერტექსტუალობას. ტერმინი ინტერტექსტუალობა პოსტსრუქტურალიზმის თეორეტიკოსმა კრისტევამ დაამკვიდრა 1967 წელს. ტექსტებს შორის ურთიერთკავშირი

ამოუწურავია. ტექსტი იქმნება არსებული ტექსტის გავლენით და იგი შესაძლებელია საფუძველი გახდეს ახალი სხვა ტექსტისა. ასე რომ, ყოველი ახალი მკითხველი, ყოველი მომდევნო ეპოქების მკითხველი ინტერტექსტუალობის ახალ-ახალ ვარიანტებს აღმოაჩენს. ინტერტექსტუალობით კვლევა საშუალებას იძლევა, რომ ტექსტი უფრო ღრმად გაანალიზდეს, ზოგჯერ ინტერტექსტუალობის გარეშე ტექსტის გაგება შეუძლებელიც კია.

მკვლევარი მ. ჯალიაშვილი საგანგებოდ უსვამს ხაზს მხატვრული ნაწარმოების გააზრებაში ინტერტექსტუალობის მნიშვნელობას, რომელიც „შეიძლება სხვადასხვანაირად წარმოჩნდეს: ციტატებით, სხვა ნაწარმოებთა პერსონაჟების შემოყვანით, მხატვრულ სახეთა „სესხებით“, ანალოგიით, ალუზიებით, რემინისცენციებით და სხვა ტიპის მინიშნებებით (პირდაპირ თუ შეფარულად)“ (ჯალიაშვილი 2014). იგი მხატვრულ ლიტერატურას ჯადოსნურ სარკეს ადარებს, მეტაფორულად განსაზღვრავს ინტერტექსტუალობის არსს და რამდენიმე მინიშნებას გვაძლევს:

1. მხატვრული ნაწარმოები როდესაც რეალისტურია, ლიტერატურასა და მკითხველს შორის უშუალო კონტაქტია დამყარებული;

2. ტექსტი როდესაც მოდერნისტულია, რეალობა სარკეში „გამრუდებულად“ არის ასახული; საგნები, მოვლენები პირდაპირ არ ამოიცნობა. მკითხველი „ლიტერატურის სარკეში“ თავის თავს ვეღარ ხედავს და ლიტერატურისაგან იგი გაუცხოებულია. თუმცა ჩნდება ელიტარული მკითხველის ცნება;

3. პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში რეალობა დამსხვრეული სარკის ეფექტით აისახება, მის ნატეხებში ფრაგმენტული სახეები მოჩანს და იქმნება მოზაიკური ნახატი.

ინტერტექსტუალობა ყველაზე უკეთ პოსტ-მოდერნისტულ მხატვრულ ტექსტებში წარმოჩნდება. ხელოვანი მუდმივად დიალოგს მართავს წინამორბედ თუ მისეული ეპოქის ლიტერატურასთან. „არც ერთი 56

გამონათქვამი არ შეიძლება იყოს არც პირველი, არც უკანასკნელი. იგი მხოლოდ რგოლია ჯაჭვში და ამ ჯაჭვის გარეშე არ შეიძლება იქნეს შესწავლილი“ (Вахтин 1979: 340).

ლიტერატურის უსასრულო ჯაჭვად წარმოსახვისას ადვილად შესამჩნევია, რომ აგიოგრაფია, რომელიც, საერთოდ, ქართული მწერლობის საფუძველია, თავადაც ინტერტექსტუალურია. აგიოგრაფიისათვის ინტერტექსტი, პირველ რიგში, გახლდათ ბიბლია, წმინდა მამათა სწავლებანი, ხოლო მოგვიანებით, თავის მხრივ, სწორედ ქართული აგიოგრაფია გახდა შემდგომი პერიოდის ქართული ლიტერატურის ინტერტექსტის წყარო. იგი ყველაზე უკეთ პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში გახმიანდა.

პოსტმოდერნიზმი თანამედროვეობის ენაა, მასში ახლებურ სიცოცხლეს იძენს შორეული ლიტერატურული არქექტიპები, რაც სრულიად განსხვავებული გააზრებების საფუძველი შეიძლება გახდეს. პოსტმოდერნისტი მწერლის მხატვრული ჩანაფიქრის ამოსაცნობად და მასში გასარკვევად მკითხველის გარკვეული ინტელექტუალური მზაობაა საჭირო. პოსტმოდერნისტული ტექსტი მრავალშრიანია. იგი დაშიფრულია, კოდირებულია, რომლის წაკითხვასაც წინარე ცოდნა-გამოცდილება ესაჭიროება.

XX საუკუნის ბოლო და XXI საუკუნის პირველი ათწლეულის ქართული მხატვრული ლიტერატურა ინტერტექსტუალობის თვალსაზრისით განსაკუთრებულია. საინტერესოა, თუ რით არის განპირობებული ეს ფაქტი. საბჭოთა ეპოქის ერთფეროვანმა, ნაცრისფერმა ყოფამ, ისტორიულმა თუ პოლიტიკურმა ვითარებამ XX საუკუნის მხატვრულ ლიტერატურას მნიშვნელოვანი როლი დააკისრა. ლიტერატურა იქცა თვითგადარჩენის ერთ-ერთ საშუალებად, ეროვნული თვითშეგნების ტაძრად. ამიტომ ლიტერატურამ წაშალა ზღვარი ირეალურსა და რეალურს, სიახლესა და შორეულ წარსულს შორის. მარად უკვდავი ლიტერატურული პერსონაჟები სრულიად ახალ სიცოცხლეს იძენენ და მკითხველის სამიზნედ ბუნებრივად ხდება ეპოქა, ჟანრი, მიმდინარეობა...

ინტერტექსტუალობის ჭრილში განვიხილოთ იაკობ ხუცესის „შუმანიკის წამება“ და თანამედროვე მწერლის აკა მორჩილადის (გიორგი ახვლედიანის) მოთხრობა „როგორ მოკვდა ვარსკენ პიტიახში“. აღნიშნულ საკითხზე დაფიქრება მით უფრო საშური, რომ ბოლო პერიოდში საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვაა აგიოგრაფიის მნიშვნელობაზე, საჭიროებებზე, ნაწარმოებთა შემცირებასა თუ სწავლების მეთოდებზე. ხოლო, რაც შეეხება აკა მორჩილადის შემოქმედებისადმი ინტერესს, ის XXI საუკუნის ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული და გამორჩეულია. სწორედ ამის დასტური გახლავს ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა, ხმათა უმრავლესობით, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის კანდიდატად საქართველოდან აკა მორჩილადე წარადგინეს. ა. მორჩილადის რომანები აქტუალურ და იმავდროულად მტკივნეულ თემებს ეხება: სამოქალაქო ომი, სოციალური კრიზისი, დაპირისპირება თაობათა შორის, პოლიტიკური უთანხმოება... სხვა მრავალ ღირსებასთან ერთდ, სწორედ ამიტომაც აკა მორჩილადის შემოქმედება მიმზიდველი და სწორედ ეს არის მისი პოპულარობის მიზეზი. მწერალი ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე საზოგადოებაზე, განსაკუთრებული ოსტატობით აანალიზებს და ადგენს მათ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. „მისი რომანები გამოირჩევა ჟანრული მრავალფეროვნებითა და მრავალხმიანობით, რის გამოც ის იმ იშვიათ მწერალთა რიგებშია, რომლებიც ქმნიან დამამახსოვრებელ პერსონაჟებს, რომელთა უნიკალურობაც დიდხანს რჩება მკითხველის მეხსიერებაში. აკა მორჩილადე პატარა ერის წარმომადგენელია, ამიტომ ცდილობს მკითხველს, განსაკუთრებით უცხო აუდიტორიას, წარუდგინოს თავისი ქვეყნის ეროვნული თავისებურება და, იმავდროულად, აქცენტი გადაიტანოს ისეთ უნივერსალურ ადამიანურ ღირებულებებზე, რომლებიც თანაბრად ფასეულია ყველა ქვეყნის მკითხველისთვის...“ – ნათქვამია წარდგინებაში.

ზემოთ დასახელებული ლიტერატურული ნაწარმოებები მკითხველს საშუალებას აძლევს ერთმანეთს შევადაროთ, შევუპირისპიროთ და ვიმსჯელოთ მთავარი მოქმედი გმირების – შუმანიკ დედოფლისა და ვარსკენ პიტიახშის, ორ სიცოცხლეზე.

XXI საუკუნის მწერალი ირჩევს რეალურ ისტორიულ პიროვნებას, აგიოგრაფიული ნაწარმოების გმირს და მასზე თხზავს ამბავს. იაკობ ხუცესის „შუმანიკის წამების“ შინაარსზე მისი რეზონანსულობისა და საყოველთაოობის გამო არ შევჩერდები, ხოლო აკა მორჩილადის მოთხრობის შინაარსს რამდენიმე წინადადებით წარმოგიდგენთ.

წიგნი „კაკულა ორმაურაშვილის მემუარები“ ხუთი მოთხრობისაგან შედგება; ერთ-ერთია „როგორ მოკვდა ვარსკენ პიტიახში“. იყო ერთი ვარსკენ პიტიახში, რომელსაც თევზაობა უყვარდა. იგი დედითსომეხი იყო. ყოვლისმცოდნე დოზია მეწისქვილეს არ ეჯერა, რომ ვარსკენი დედითსომეხი იყო. პიტიახში თათრულ-ქართულად კარგ ბიჭს ნიშნავს. ვარსკენს ომის საქმე უსწავლია, საბრძოლო ხელოვნებაში ინდოეთშიც გაუთქვამს სახელი. ამბობენ, დედა რადგანაც სომეხი ჰყავდა, მან ცოლიც სომეხი იმიტომ შეირთო. ამ ფაქტის გამო განრისხებული შახაბაზი, რომელიც ვარსკენის ალალი ბიძა ყოფილა. თურმე ვარსკენის ქორწილს თამარ დედოფალიც ესწრებოდა. მოხიბლულა ვარსკენით და მისი სარდლად დანიშვნა განუზრახავს.

ამასობაში ვარსკენის მამა მოკვდა, საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალი გამხდარა. ვახტანგს ვარსკენი არ უყვარდა, მას ცოლად ვარსკენის და, რუსუდანი, ჰყავდა. „აიღებდა ვახტანგი ცეცხლის საჩხრეკსა, და დაურთავდა. ვარსკენი კიდე ვერ გეეროდა ცოლ-ქმრის საკითხში“ (მორჩილამე 2003: 194). ვარსკენის და გორგასალს ბოლოს დამორდა და სააკადეზე დაქორწინდა და ეყოლა შვილი გიორგი სააკადე. ვარსკენი სპარსეთში ბიძებთან წასულა. იქ გათათრებულა და ცოლიც შეურთავს. შუმანიკი განაწყენებულა, ჩვენი სიყვარული სათათრეთში როგორ დაახურდავო. შახაბას ვარსკენისათვის ჯარი მიუცია და საქართველოსკენ წამოსულა, თათრების ჯარი საქართველოს

დაეპატრონა. ვახტანგს ვარსქენი ქარაფიდან გადაუგდია, თათრები კი საქართველოდან გაუყრია. ვარსქენის სიკვდილის გამო ვახტანგ მეფეც მოსთქვამდა და ერეკლეც. ამ ამბავს ყვებოდა დოზია მეწისქვილე, რომელიც ბარათაანთ მედროშე ყოფილა.

აღნიშნულ ნაწარმოებს ინტერტექსტულობის გარეშე თუ წავიკითხავთ, შეუძლებელია მწერლის მიზანი ამოვიცნოთ. ფაქტების, მოვლენებისა და დროის აღრევა სათქმელს მხოლოდ ქაოსურსა და ბუნდოვანს გახდის. პერსონაჟთა გაღერეადან ადვილად ვიგებთ, რომ მოთხრობა ვახტანგ გორგასლიდან მოყოლებული, მეფე ერეკლე მეორის ჩათვლით (მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე), ისტორიულად ცნობილ პიროვნებებს აერთიანებს. აკა მორჩილადის მოთხრობაში გვხვდება: ვარსქენ პიტიახში, შუშანიკ დედოფალი, შახაბაზი, თამარ მეფე, ვახტანგ გორგასალი, ერეკლე, შუშანიკის ძმა...

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ პერსონაჟები არიან: შუშანიკ დედოფალი, ვარსქენ პიტიახში, იაკობ ცურტაველი, პეროზ მეფე, სპარსი, აფოც ეპისკოპოსი... წამებაში ასახული ისტორიული პერიოდი 475-483 წლებს მოიცავს. დასაწყისშივე ვკითხულობთ: „იყო: მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში, ძეი არშუშაისი“ (ხუცესი 1987: 224). ათვლა სწორედ ამ მონაკვეთიდან იწყება, როდესაც პიტიახში პეროზ მეფეს კარზე ეახლა და გაგრძელდა, ვიდრე შუშანიკ დედოფალი აღესრულებოდა.

აკა მორჩილადე აცოცხლებს აგიოგრაფიული ნაწარმოების პერსონაჟებს – ვარსქენსა და შუშანიკს, რაც ორმაგი კოდირებისა და ინტერტექსტულობის ნათელი დადასტურებაა. პერსონაჟის რეკონსტრუქცია ირონიითა და პაროდიითაა წარმოდგენილი, რაც, ბუნებრივია, ტექსტის პოსტმოდერნისტულობით აიხსნება და არა ავტორის დამოკიდებულებით საკუთარი ქვეყნის ისტორიული პიროვნებების, ფაქტებისა და მოვლენებისადმი. თხრობა დინამიკურია, დროის ქრონოლოგია უბრალოდ დარღვეული

კი არა, ქაოსურია. მოქმედ პირთა ერთ სიბრტყეზე განთავსება (შუშანიკის მძა, შაჰ აბასი, თამარ მეფე, ვახტანგ გორგასალი, ერეკლე მეორე...) ცალსახად მიგვითითებს, რომ ავტორი აბსოლუტურად სხვა ამბავს მოგვითხრობს და მას მხოლოდ „შუშანიკის წამების“ პერსონაჟები არ აინტერესებს. აკა მორჩილაძე ფრაგმენტულად აცოცხლებს რეალურ ისტორიულ პიროვნებებს, ისტორიულ კონტექსტს. მათში ცალსახად იგრძნობა ორატორული ნათქვამი, იბადება გაურკვევლობის განცდა. მკითხველმა ცოდნის მობილიზებით საკუთარ თავში უნდა იპოვოს ძალა, ამოიცნოს მწერლის ჩანაფიქრი. ეს, რა თქმა უნდა, არ არის მარტივი. ტექსტის ფრაგმენტულობა, დაშლა-დანაწევრება აღქმას სრულებითაც არ აადვილებს. ერთიანი სიუჟეტის ხაზი დარღვეულია და მოთხრობილი ამბების გასაერთიანებლად მკითხველს ძალისხმევა სჭირდება. აღნიშნულის დასადასტურებლად ტექსტიდან მოვიხმოთ მცირე ამონარიდი: „ვარსქენ პიტიახში ალალი ბიძა ხო ვიცით, ვინც იყო – შახაბაზი. შახაბაზს რო გეგო, თავის სიძისთვის წერილი გამოეგზავნა, სომეხი რათ შერთო, და ვარსქენის მამა კიდე გაუგონარი კაცი ყოფილა.

ყველა ჭკვიანი კაცი ხო გაუგონარია? და შახაბაზისათვის უწყენინებია. ხუმრობით უთქვამს, შენ რო თათარი შემომასაღე, ესე ხო არ არისო?

და ასე შეურთია შუშანიკ დედოფალი.

ახლა ეს გითხრა: ქორწილი რო გაუმართავთ, დიდი ხარჯი უქნიათ და შახაბაზიც, როგორც წესია, დაუპატიჟნიათ. ათასკაციანი ქორწილი იყო. ჩემი დიშვილი, ვარსქენ პიტიახში ცოლს რო შეირთავს, აქეთ გამოგზავნეთო. ახალგაზრდები არიან და ჩემსა უფრო თავისუფლად იქნებიანო.

ქორწილში თამარ მეფეც ყოფილა დამახებული და უთქვამს, ასეთი ვაჟკაცი უცხო ქვეყნისთვის არ მემეტებაო. ჩემს სარდლად უნდა დავნიშნოთო. შახაბაზს კიდე მე დაველაპარაკებო“ (მორჩილაძე 2003: 193).

თითქოს ყველაფერი ხელისგულზეა, ერთი ამბავი, ერთი ფაქტი მეორეს სხარტად და მარტივად ენაცვლება, მაგრამ ამ სიმარტივეში მწერალი ბევრ რამეს ასაიდუმლებს,

„აყალბებს“ წარსულს და ქმნის ილუზორულ სამყაროს. წინა პლანზე ჩნდება ირონია, რომელიც ჩვენს მემკვიდრეობასაც აზიზბურებს და აწმყოსაც. მწერლისგან დიდ სიმამაცეს მოითხოვს წერდე წმინდა შუშანიკზე, ეროვნულ გმირზე – მეფეთ მეფე თამარზე, მოღალატე ვარსკენზე, საქართველოს დაუძინებელ მტრებზე... აქ არც მწერლის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე უნდა ვიმსჯელოთ, არც საკუთარი ქვეყნის ისტორიის დამახინჯება-გაუფასურება მივიჩნიოთ მწერლის თვითმიზნად და არც მკითხველის შეურაცხყოფა გავიფიქროთ. მწერალი პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელ, განმსაზღვრელ სტილს იყენებს, ხოლო მოვლენების სხვაგვარი აღქმა საკითხს როგორც გააუბრალოებს, ისე ბუნდოვანს გახდის. მოთხრობაში რეალობა დამსხვრეული სარკის ეფექტით წარმოჩნდება, ნატეხებში ფრაგმენტული სახეები გვიმხერს, ასე იქმნება მოზაიკური ნახატი. ცხადია, მოთხრობაში „როგორ მოკვდა ვარსკენ პიტიახში“ მწერლის მიერ რეკონსტრუირებული სახე აგოგრაფული პერსონაჟისა პაროდირებულია, ავტორი მიზნობრივად მიმართავს ირონიას. დამახინჯებულია შაჰ აბასის სახელი, რაც ისტორიული რეალობით აიხსნება.

მწერლის ჩანაფიქრის ამოსაცნობად შეიძლება ეს თეორიული განსაზღვრებაც მოვიხმოთ: პოსტმოდერნიზმის ესთეტიკაში იდეათა აჩრდილები აისახება, მასში მხოლოდ ანარეკლი მოჩანს. შექმნის საფუძველი არც რეალიზმი გახლავთ. „უპირველეს ყოვლისა, არსებული ხელოვნებისა და გამომსახველობის ფორმებს პოსტმოდერნიზმი იმეორებს ისე, რომ აცლის მათ მთავარ შინაარსს, იმ შინაარსს, რომლის გაცხადების მიზნითაც იქმნებოდა ეს ხელოვნება. პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებში შეიძლება განმეორდეს რეალისტური ხელოვნების პრინციპები, მაგრამ, ამავე დროს, ისე, რომ არ ასახავდეს ყოფიერ რეალობას, რომლისაც ავტორს აღარ სჯერა. ამდენად, არსთან, არსებითთან მიმართების დაკარგვის ნიშნით ეს ხელოვნება არის კიდეც სიმულაკრა, ასლი ორიგინალის გარეშე“ (აბრამიშვილი 2912: 2-3).

მოთხრობაში ვკითხულობთ: „ამას ვახტანგ გორგასლანის სიყვარული არა ჰქონდა, ამიტომ, რო ვახტანგ გორგასლანს ვარსქენის და, რუსუდანი ჰყავდა შერთული, ადრე ბავშვობიდან დანიშნული და სახლში სულ ჩხუბი ჰქონიყოთ, ასე რომ, აიღებდა ვახტანგი ცეცხლის საჩხრეკსა და დაურთავდა. ვარსქენი კიდე ვერ გეერეოდა ცოლ-ქმრის საკითხში“ (მორჩილაძე 2003: 194). მკითხველის თვალწინ უნებლიეთ ცოცხლდება იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებიდან“ პურობის ეპიზოდი, როდესაც დედოფალმა რძალს, ჯოჯიკის ცოლს, ღვინით სავსე ჭიქას შეაღწა და განრისხებულმა ვარსქენმა სასტიკად ცემა იგი. „და აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა, და ჩაფლა და თვალი ერთი დაუბუშტა. და მჯილითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა. ვითარცა მხეცი მძვინვარედ ყოიდა და იზახდა ვითარცა ცოფი“ (ხუცესი 1987: 230).

საინტერესოა აკა მორჩილაძის მიერ სიტყვა „პიტიახშის“ გაშიფვრა. „ვარსქენ პიტიახშისთვის იმიტომ დაურქმევიათ „პიტიახში“, ესე იგი, რო „იახში“ კარგსანიშნამს თათრულათა და „პიტ“ ადრე „ბიჭ“ იყო, მერე დროებამ მოცვითა. კარგი ბიჭიო – ქართულ-თათრულათ დაურქმევიათ. ასე იგი – სწორი ყოფილა „ბიჭიახში.“

ვარსქენ ბიჭიახში“ (მორჩილაძე 2003: 191-192).

„ბიჭ-იახში“ ჟღერადობით გიგლა ბერბიჭაშვილის სახელს ჰგავს, დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს. მ. ღვინჯილია წერილში „კლასიკური ტექსტის პერსონაჟის პოსტმოდერნისტული რეკონსტრუქცია“ აღნიშნავს, რომ ვარსქენის ბიჭიახშობა შესაძლებელია გიგლა ბერბიჭაშვილის მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობას დაუკავშიროთ. მით უფრო მაშინ, რომ ვარსქენი ორივე ტექსტში მოღალატეა. ვფიქრობ, აკა მორჩილაძე სახელებს მიზნობრივად ამახინჯებს, მათ მეტყველსა და ჟღერადს ხდის, რის საფუძველზედაც მკითხველს ექმნება ასოციაცია და რეალურ ამბებს, პერსონაჟებს მარტივად იხსენებს.

მოთხრობაში „როგორ მოკვდა ვარსქენ პიტიახში“ პერსონაჟის რეკონსტრუირებულ სახეში ირონია არაერთგან

იკვეთება. ავტორი ვარსკენის მშობლებზე მოგვითხრობს და ცდილობს გაგვაგებინოს ვარსკენის დედა თათარი იყო თუ სომეხი. „ასეა ნათქვამი, რო დედა სომეხი ჰყავდაო, მაგრამ პაპაჩემი დოზია მეწისქვილე დიდი მცოდნე იყო ამ საქმისა და არ ეჯერა – სომეხსაო ამ მხარეში იმდენს არ უცხოვრიაო, რო ვარსკენ პიტიახშის მამას და სხვასაც ცოლად მოეყვანაო.

თათარი სხვა საქმეაო. აკი ბაბოჩემის დედაც, თარიბა, თათრის ქალი იყო. ამიტომ, უეჭველი, საქმე ისე გამოდის, რო ვარსკენ პიტიახშის დედა სომეხი კი არა, თათარი ყოფილა“ (მორჩილაძე 2003: 191). ასე „სარწმუნოდ“ ადასტურებს ავტორი ვარსკენის დედის თათრობას.

„შეშანიკის წამებაში“ საკმაოდ ამაღელვებელი მომენტიც, როდესაც დედოფალი ვარსკენის გამაზდენებას გაიგებს. იგი ცხარე ცრემლებით ატირდება, თავს დამართ სცემს და იტყვის: „საწყალობელ იქმნა, უბადრუკი ვარსკენ, რამეთუ უვარყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოთა“ (ხუცესი 1987: 225). დედოფალი ემოციურად დაიტირებს ვარსკენის მიერ ქრისტეს დაგმობას, უფალთან განმორებას, სამშობლოსა და სარწმუნოების ღალატს, მაგრამ არაფერს ამბობს ცოლქმრულ, ოჯახურ ტრაგედიაზე. შემდეგ პავლე მოციქულის სიტყვებს მოიშველიებს და სასახლიდან წასვლის გადაწყვეტილებას ასე სარწმუნოდ ახსნის: „არა დამონებულ არს ძმაო, გინა დაო, არამედ განეყენენ“ (ხუცესი 1987: 227).

მეუღლის გამოსაფხიზლებლად დედოფალი ვარსკენის ქმედებას მამის საქმიანობას უპირისპირებს. მკითხველის წინაშე იქმნება ღირებულებებით აღსავსე, პრინციპული და უკომპრომისო დედოფლის სახე, რომელიც ღვთისა და ქვეყნის სიყვარულს ყველაფერზე მაღლა აყენებს და გაცნობიერებულად იცავს მას. „მამამან შენმან აღჰმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენნა, და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყვენ და სხვად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმინდანი შემოიხვნა სახიდ თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხვენ. მან ღმერთი ცათად და ქვეყანიისად აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თაყვანის ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი

უვარ ჰყავ, ეგრეცა შენ მე შეურაცხ გყავ. და თუ მრავალი ტანჯვამ მოიწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“ (ხუცესი 1987: 228).

„შე ურჯულო და უწმინდურო, არ დამენახო, თათარზე როგორ გამცვალე“? – ვკითხულობთ აკა მორჩილაძესთან. ამ ლაკონურ მიმართვაში, შუშანიკის თათარზე გაცვლაში ჩანს ოჯახური კონფლიქტი, ქმრის ღალატით გამოწვეული დედაკაცის ჯავრი და მასში მკაფიოდ იკვეთება დედოფლის ღირებულებათა გაიაფება. წმინდანის სახის ცვლილება-დევალვაცია კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ პოსტმოდერნიზმი თავისუფალი და ღია სისტემაა. იგი შემოქმედებით მემკვიდრეობას ახალ სიცოცხლეს ანიჭებს, რაც განპირობებულია ორმაგი კოდირებით, ინტერტექსტუალობით, ირონიით, პაროდითა და ღირებულებათა დამცრობა-დაპატარავებით.

პოსტმოდერნისტი მწერალი გარკვეულწილად მანიპულირებს კლასიკური შემოქმედებითი მემკვიდრეობით. ქმნის ახალს, მაგრამ შედეგრი მკითხველს ამალღებული მისიით ნაკლებად წარმოდგება. აღნიშნულის დასადასტურებლად მოთხრობის პირველი წინადადებაც საკმარისია: „იყო ერთი ვარსქენ პიტიახში“ (მორჩილაძე 2003: 191). იყო ზმნა და ნაცვალსახელის მნიშვნელობით გამოყენებული რიცხვითი სახელი ერთი მკითხველს იმთავითვე ზღაპრის დასაწყისის განცდას უჩენს. იყო და არა იყო რა... ცხადია, ზღაპრის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, იგი ფანტასტიკურ ამბავზე აგებული თხრობითი ნაწარმოებია, რომელიც სინამდვილესთან დაკავშირებულია იდეით, თემატიკით, მოტივით, სიუჟეტით, ენობრივი თავისებურებით და საბოლოო ჯამში ქმნის ეროვნულ კოლორიტს. მაგრამ აღნიშნულ კონტექსტში ზღაპრის ელემენტების გამოყენება, მოთხრობის ასეთი დასაწყისი სათქმელის გაუბრალოებას იწვევს.

საყურადღებოა მოთხრობის დასასრულიც, თუ როგორ მოკვდა ვარსქენი. „და აქა ჰკრა ხელი ვახტანგ გორგასალმა ვარსქენს და რახან სიჩქარე დიდი იყო, ვარსქენი ცხენს მოსწყდა და კლდიდან უფსკრულში გადავარდა. მიწამდი

სული არც დაჰყოლია, ისე დაასკდა უფსკრულის ქვებს“ (მორჩილაძე 2003: 200). მკითხველის თვალწინ გაიელვებს გელიყარის კლდე და კახაბერ ყორღანაშვილი, საქართველოს ისტორიიდან ერთ-ერთი ანტიგმირი, რომელიც საჩინო ბარათაშვილმა ქვეყნის მოღალატეობის გამო დასაჯა. „ყორღანაძეს ქარაფიდან ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“. ისტორიულად ცნობილია, ვახტანგ გორგასალმა ირანის წინააღმდეგ აჯანყება იმით დაიწყო, რომ მოღალატე ვარსკენ პიტიახში 482 წელს მოაკვლევინა. წარსულის ირიბი მითითება ამალგებულის ამოებას უსვამს ხაზს და ირონია წერის განმსაზღვრელ მანერად იქცევა. „აპა მორჩილაძე თავის ტექსტებით კრიტიკოსსაც მრავალფეროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. თავისი ირონიით ავტორი წარსულს კი არ დასცინის, არამედ მას კიდევ ერთხელ იგონებს და საკუთარ ინტერპრეტაციებს აძლევს, რაც ხშირად მკითხველის თვისება უფროა, ვიდრე მწერლისა. ამით თავად ავტორიც ძველი ტექსტების გემოვნებიან და გულითად მკითხველად მოსჩანს“ (იმნაიშვილი 2010: 82).

„პოსტმოდერნიზმი ბაძვა“, რომელსაც ხშირად თან სდევს იმიტაცია, დამახინჯება, კავშირი სხვა ნაწარმოებთან, იდეების, სტილის ურთიერთშერწყმადაპასტიში. მკვლევრები პასტიშს განმარტავენ ისეთ პაროდიად, რომელსაც დაკარგული აქვს იუმორის გრძნობა. ინტერტექსტუალობა გახსნილობით, წარსული კულტურული ტრადიციების ღიობით არის განპირობებული. ახალი ტექსტი ახალ დროში წინარე გამოცდილებით იქმნება, სხვა ტექსტის გადამუშავება-ციტირება, პერიფრაზირება, ირონიული და პაროდული მიმართებები გვარწმუნებს, რომ ავტორი საკუთარ ტექსტში ადვილად იღებს და ითავსებს სხვა ტექსტის გამოცდილებას.

რადგანაც ფრაგმენტულობა და არათანამიმდევრუ-ლობა პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი განმსაზღვრელი თვისებაა, მას ავტორი შეგნებულად მიმართავს. ინტერტექსტი შლის ზღვარს ძველსა და ახალს, ახალსა თუ უახლეს ტექსტებს შორის, ქმნის ერთ სისტემას, კრავს და ამთლიანებს

მხატვრულ ლიტერატურას. უძველესი მხატვრული ძეგლები, პერსონაჟები, ფრაზები, შეხედულებები, დამოკიდებულებები, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები ახლებურ სიცოცხლეს იძენენ.

კაცობრიობაძირითადადწინიხედება, დიდშემოქმედთა, ხელოვანთა მზერა და მოძრაობა ნიადაგ მომავლისაკენაა მიმართული. გენიალური მხატვარი ლადო გუდიაშვილი წერდა: ადამიანი წარსულისაკენ ხშირად იმიტომ იხედება, რომ სწორედ იქ უნდა დაინახოს ის სხივი, მის ამქვეყნიურ ცხოვრებას მომავალთან რომ დააკავშირებსო. აწმყო მომავლისთვის არსებობს, თუმცა დღევანდელობას ხშირად წარსული განსაზღვრავს, წარსული ასაზრდოებს და ზრდის მას. სწორედ ამიტომაა ასე მჭიდრო კავშირი და ამდენი საერთო აგიოგრაფიასა და უახლეს ქართულ ლიტერატურას შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

აბრამიშვილი 2012: აბრამიშვილი თ., კლასიკური ტექსტის რეკონსტრუქცია პოსტმოდერნისტულ ნარატივში. სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი სტუდენტებისთვის, სტუდენტური კვლევები, ლიტერატურათმცოდნეობა და სხვა, №1, 2012.

იმნაიშვილი 2010: იმნაიშვილი ა., XX საუკუნის 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა თაობის ქართული პროზის პოსტმოდერნისტული ტენდენციები. სამეცნიერო ჟურნალი „სემიოტიკა“, თბილისი, 2010.

კვაჭანტირაძე 2014: კვაჭანტირაძე მ., გურამ რჩელიშვილის ტექსტი 50-იანი წლების რეალობის კონტექსტში, „კრიტიკა“, №9, თბილისი, 2014.

მორჩილაძე 2003: მორჩილაძე ა., წიგნი. თბილისი, 2003.

რჩელიშვილი 2022: რჩელიშვილი გ., თხზულებათა სრული კრებული 6 ტომად, ტომი 1, თბილისი, 2002.

ღვინჯილია 2021: ღვინჯილია მ., კლასიკური ტექსტის პერსონაჟის პოსტმოდერნისტული რეკონსტრუქცია, ჟურნალი „სემიოტიკა“, ოქტომბერი, 2021. <https://semiotics->

journal.wordpress.com/2021/10/25/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9B-%

ხუცესი 1987: ხუცესი ი., შუშანიკის წამება, ქართული მწერლობა, ტომი I, თბილისი, 1987.

ჯალიაშვილი 2014: ჯალიაშვილი მ., ინტერტექსტუალური პარალელები, 25 ივლისი, 2014. ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“. <https://mastsavlebeli.ge/?p=4049>

Вахтин 1979: Вахтин М. М., Эстетика словесного творчества. М., 1979.

Marine Khvedelidze

INTERTEXT IN THE STORY OF AKA MORCHILADZE “HOW DID VARSKEN PITYAKH DIED?”

Summary

Writing, through artistic words, reflects the world and the existence of people, which each age understands and perceives in its own way. Often, the depicted characters do not change, but their attitude and point of view towards them change. This is due, in general, to the eternal purpose of writing; time is conditional on it. Often, a monument of the distant past becomes the inspiration, the first source for the writer to create new works in a time separated by centuries. Recently, researchers have paid special attention to intertextuality in order to study artistic works. When imagining literature as an endless chain, it is easy to see that hagiography, which is generally the basis of Georgian writing, is itself intertextual. The intertext for ha-

giography was, first of all, the Bible and the teachings of the holy fathers, and later, in turn, it was Georgian hagiography that became the source of the intertext of the Georgian literature of the later period. It was best voiced in postmodernist literature. The book “Memoirs of Kapula Orshaurashvili” by Aka Morchiladze consists of five short stories, one of which is “How did Varsken Pityakh died?” If we read the mentioned work without intertextuality, it is impossible to recognize the writer’s purpose. Confusion of facts, events, and time will only make the speech chaotic and vague. Aka Morchiladze brings to life the characters of the hagiographic work: Varsken and Shushanik. Which is a clear confirmation of double coding and intertextuality. The reconstruction of the character is presented with irony and parody. Which, naturally, can be explained by the postmodernism of the text and not by the author’s attitude towards the historical personalities, facts, and events of his own country.

ავტორთა მონაცემები

სილა ბანდელიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი.

თენგიზ გუმბარიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

თამაზ დავიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფილოლოგიის დოქტორი.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი
პროფესორი.

მაია ცერცვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

მარინა ხვედელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი.

CONTRIBUTORS

TSIALA BENDELIANI

Akaki Tsereteli State University,

PhD student.

TENGIZ GUMBERIIDZE

Akaki Tsereteli State University, Associate Professor,

Doctor of Philology.

TAMAZ DEVIDZE

Akaki Tsereteli State University,

Doctor of Philology.

NIKOLAZ OTINASHVILI

Gori State University, Assistant Professor.

MAIA TSERTSVADZE

Georgian Technical University, Associate Professor,

Doctor of History.

MARINE KHVEDELIDZE

Akaki Tsereteli State University,

PhD student.

ს ა რ ჟ ე ვ ი

ციალა ბენდელიანი - ტოპონიმ <i>ხანძთ</i> -ის ეტიმოლოგია	3
თენგიზ გუმბარიძე - აკაკი წერეთელი ანტონ კათალიკოსის შესახებ	10
თამაზ დავიძე - დიდმარხვის მეოთხე კვირის საცისკრო კანონი „მარხვანის“ ქართულ ხელნაწერებში	21
ნიკოლოზ ოთინაშვილი - მწერლის ენის საკითხები – დიალექტიზმები ოლია ბრაგვამის პროზაში	31
მაია ცერცვაძე - გრიგოლ ორბელიანის ერთი პირადი წერილი	39
მარინა ხვედელიძე - ინტერტექსტი აკა მორჩილაძის მოთხრობაში „როგორ მოკვდა ვარსკენ პიტიახში“	54
ავტორთა მონაცემები	70

CONTENTS

TSIALA BENDELIANI - Etymology of the Toponym
Khandzta 9

TENGIZ GUMBERIDZE - Akaki Tsereteli
about Catholicos Anton 19

TAMAZ DEVIDZE - The matins canon of the fourth Sunday
of Great Lent in the Georgian manuscripts of Lenten Triodion 30

NIKOLOZ OTINASHVILI - Issue of the Writer Language Dialectics
in Olia Bgragvadze’s pro 38

MAIA TSERTSVADZE - One personal letter of
Grigol Orbeliani 52

MARINE KHVEDELIDZE - Intertext in the story of Aka Morchi-
ladze “How did Varsken pityakh died?” 68

CONTRIBUTORS71

ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ნაშრომის ელექტრონული ვერსია
წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:
gelatisakademia1@gmail.com

**დამკაბადონებელი
შორენა ხუნდაძე**

რედაქციის მისამართი:

ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა, №59.
ტელ.: რედაქტორის: 577 28-28-61;
პასუხისმგებელი მდივნის: 598 10-14-72.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა